

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული




გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწვრალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუნძული ქართველი



კოლეგია ფილოსოფიური

0169 ულეათა პრებული
100 ტბილი


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 64

2020



მთ. რედაქტორი

გაუა ბერიძე

ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მწერალთა,
მეცნიერთა და საზოგადო
მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა-
საქართველო“-ს აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოსანას №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-871-7 (64 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემული გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემლება „მოლოდინება“ გამოსცემა ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუტი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიმყენ ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჭავებელასა და გალაკტიოზ ტაბიდის არემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმაცანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, შვაიცარიის იმპრის ვარსკვლავისა და მშვიდობის ღრუბის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცნეომრო კაპადემიის ვიცე-კრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეულების „კოლეჯი შასლაშვერის“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისელის ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შასლაშვერის“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვერის“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისელის კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე და კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შასლაშვერის“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისელი.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მუხრალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხევი, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაბაღლა გაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოეტმა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვასის ნაცარმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონინდელი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდლული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითხგა.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძမინა დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშაპი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულაზ ხარაიზვილი

კოეტი, ბალაპტიონ ტაგიძის არეგის დაურიატი,
ჯემბერ ლექაპას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიფიად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

შონასიტებარბის მაბიერ

(გაგრძელება)

დრო-ყოფნა არყოფნის სასწორზე დებს ყველაზე
დიდ ფასეულობებს. დგება არჩევანის მქაცრი საათი.
ყოფმანი, დაყოვნება, უკან დახევა, შიში და ძრწოლა
უცხოა პოეტისათვის. მის ლექსებში ყოფითი ფერა-
დოფნებაც და ფილოსოფიური ამსტრაგირებაც ერთ
მთლიან ქსოვილშია ჩაგვირისტებული და უერთმანე-
თოდ არ არსებობს მათი გათოშვა, განცალკევება
შეუძლებელია, ყოველ სახეს თუ ფრაზასაც რამდე-
ნიმე განზომილება აქვს, რეალური თუ სიმბოლური,
ისტორიული თუ მითოსიური. და მაინც, ცალკეული
ასოციაციები აქ ისე მოულოდნელად ენაცვლებიან
ერთმანეთს, რომ ისინი მხოლოდ და მხოლოდ პოე-
ტური სინგაქსის მეოხებით აღწევენ ლოგიკურ გა-
მართლებას. დიდი გოეთე, როგორც ცნობილია, ამ
საიდუმლოებას პოეზიის საკუთრებად მიიჩნევდა და
აზროვნების ასეთ სახეობას ადამიანური ინტელექ-
ტის სრულიად განსაკუთრებულ მოვლენად თვლიდა:



ბრძოლა მომელის უსასტიკესი
და დარჩენილი
ჩემი დღეები
მზეს და სიხარულს, ვით იარაღს
კვლავ აისხამენ, –
როგორც მცხეთა და როგორც სარკინე.
რადგანაც ვიცი,
ბედი მრისხანე,
ვითარც იაკობს,
თვით უფალთან რომ შემარკინებს.

მსგავსი პოეტური ხილვები არასოდეს ტოვებს
პოეტის შთაგონებას, სიწრფელესა და პირველად
ქმნილის მშვენებას ანიჭებს მის რვალივით მტკიცე
სტრიქონებს.

ვაჟა ეგრისელი ახალი ფორმების მაძიებელი პო-
ეტია და მუდამ მყითხველის განცვიფრებისკენ ისწრ-
აფვის. იგი თითქოს მიკროსკოპში ხედავს ადამიანუ-
რი სულის სამყაროს, მისთვის სტილი მთელი სუ-
ლია და ძალზე ფრთხილი, გონიერი და მგრძნობია-
რე უნდა იყო ეგრისელივით ილაპარაკო გონების
ქმნილებებზე, გულსა და ბუნებაზე...

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში მედიტაციური ელე-
მენტი ძლიერი ნაკადია. მისი ლირიკული გმირი მა-
რადიულობის მკვიდრ ქანდაკებას მოგვაგონებს, რო-
მელიც მუდამ გაგვაოცებს არამარტო თავისი მოხა-



ზუღლობით, არამედ სილამაზით, სიფაქიზითა და პარ-
მონიით. მისი პოეზია ხომ პოეტური ხელოვნების
სასწაულია...

ვაჟა ეგრისელი – ესაა უშურველი და შეუპოვა-
რი პოეზიასა და ცხოვრებაში, ოქროს გულიანი,
„მზის დარახტულ რაშჩე“ ამხედრებული – ქართუ-
ლი პოეზიის ერთ-ერთი დიდი სიამაყე, რომლის მისა-
მართოთ შეგვიძლია ხმამაღლა გავიმეოროთ: „ყოველ-
ნი საქმენი შენი ჭეშმარიტება და წრფელი...“

ვაჟა ეგრისელის მიერ დახატული სურათი ფსი-
ქოლოგიურად ზუსტია და ამავე დროს, მხატვრული
თვალსაზრისით უნიკალურადაა შესრულებული:

„არ ისმის ქარის ცივი ჭიხვინი,
ოქროსფერ ფაფარს –
სივრცეში არ შლის,
და ცის სასახლე გადაიქცა უცებ მიწურად
სადღაც ღრუბლების
ამდგრეულ ზღვაში
ფრთამოტებილი,
გედისყელა მთვარე მიცურავს...“

მართლაც, დიდებული რამ არის გონების ძლე-
ვამოსილება. „ყოველგვარი აზრის უმაღლესი წერ-
ტილი ამოსუნთქვაა“... (ა.მორუა).

დიახ, თითქოს ყველაფერი უაუნმა მოიცვა და
ცის სასახლეც „მიწურად“ იქცა... ფრთა მოტებილი



„გედისყელა მოვარე“ – აი, სისასტიკე და სინაზე ერთად შერწყმული და შენივთული. ვაჟა ეგრისელის პოეზიის ანალიზისას ვგრძნობთ, რომ ბუნება მის-თვის უმაღლესი ინსტანციაა ჭეშმარიტების, ყოფიე-რების აზრის დასადგენად და მაინც, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას ბუნების კანონი მარადიული და ურყევი კანონია.

ვაჟა ეგრისელისათვის, ისევე როგორც დიდი ვა-ჟა ფშაველასათვის, ხილული ქვეყანა – დედამიწა არა მხოლოდ მშვენიერებით ატკბობს, არამედ ყო-ველდღიური ფიზიკური არსებობის ერთადერთი მა-საზრდოებელი წყაროა.

ვაჟა ეგრისელს ვაჟა ფშაველასთან აახლოებს სამყაროს იდუმალ ძალთა შეცნობის დიდი სურვილი.

ცნობილი კრიტიკოსი გურამ ასათიანი წერდა: „ვაჟა ფშაველა მთელი თავისი არსებით, გარე ობი-ექტურ სამყაროს ეკუთვნის, ის თითქოს ხედვად და სმენად არის ქცეული, რადგან არცერთი უმნიშვნე-ლო ფეთქვაც კი მიწისა, ფესვთა ჩურჩული ან ბალა-ხის სუსტი ამოსუნთქვაც არ გამოეპაროს“.

ვაჟა ეგრისელი თავისი დიდი წინაპრის ვაჟა ფშაველას მსგავსად ბუნების უჩვეულო პარმონიას თავის პოეტურ გამოხატულებაში პპოვებს, ლირიკუ-ლი სტროფის დასრულებულ მთლიანობაში, რომე-ლიც ყოველთვის მკვიდრად არის შეკრული და უჩვე-ული ხელწერით გამოირჩევა.



ვაჟა ეგრისელი ბუნების დიდი ტრფიალია, უყვარს ნაურმალებით დაშაშრული შუკები და ჩეროები, გზისპირებთან ზღაპრად ამოსული ბროჭეულების და ატმების ჩაუქრობელი ცეცხლები. საათობით შეუძლია უცქიროს თუ როგორ მიცურავს გედისყელა მთვარე ცაზე, ან როგორ არხევს ვერხვი ყანის ბოლოს ტოტს, თმაჩამოვერცხლილი დირიჟორივით, ბალში მდგარი ციცქნა ალუხების ცქერით ტკბება და მაინც საოცარია, რომ პოეტს უსამანო სივრცეში უდგას ლოგინი, იქიდან ჭვრეტს პლანეტებს „უცხო ასტროლოგივით“, მისი პოეზია წვეულებრივი მზერის-თვის მიუწვდომელია, რამეთუ პოეტი მთელი დამე მთვარეულივით „ძილ-სიზმარეთის“ მტვრიან გზაზე დაეხეტება.

ვაჟა ეგრისელის პოეტური ხედვის არეალში გვხვდება გაუცხოებული, არაბუნებრივი ყოფიერება, ვერ ურიგდება გულგრილობას, ღამის დადგომა ავსულების დღესასწაულია, ცაზე მოსეირნე ღრუბლები ამძაფრებს პოეტის გრძნობას:

„ღრუბლებმა ყორნების ფრთები კვლავ
გაშალეს
სიბნელე –
სიბნელის ბურუსით
შებურეს
ცა და ქვეყანა ავსულებს მიანდეს...“



იქლვა...

გამეფდა შიში და წყვდიადი,
ზღვად დადგა სიჩუმე სამარისებური...“
დამის იდუმალება და სიბნელის ბურუსი
აძლიერებს სინათლის მოლოდინს, სიკეთის, სიცოც-
ხლის მოვლინების განცდას:

„ვითარცა მეფე თვალდაშრეტილი
დღე მწუხრში ჩადის
დამის საოვად,
სადაც ჩაწვა და ჩანახშირდა.
მოვა დილა და ცის ქარქაშიდან
ამოამდერებს მზეს,
ვით სატევარს“.

„ვაჟა ეგრისელის სახით ჩვენ მეორე ვაჟა-ფშავე-
ლა გვყავს და XXI საუკუნეში (როგორც მეოცეში)
მრავალი წიგნი მიეძღვნება მის პოეტურ სამყაროს
შესწავლას, რადგან მეტაფორის, – ამ უპირველესი
პოეტური კომპონენტების გარეშე ლექსი, პოეზია არ
იქნებოდა მიმზიდველი და ამაღლებული ადამიანური
გრძნობებისა. ვაჟა ეგრისელი მეტაფორათა, ანუ პოე-
ზის დიდოსტატია“ (ჯიბო ლომაშვილი).

„როგორც მეცხრამეტე საუკუნეში ვაჟა-ფშავე-
ლას პოეზიამ, ასევე მეოცეში ვაჟა ეგრისელის შე-
მოქმედებამ, ახალი მეტაფიზიკური სივრცეები გა-
დაუშალა პოეტებსაც“ (ვალტერ კაშია, აკადემიკოსი).



„...არც ერთ პოეტს არ დაუნახავს ზესამყარო ვა-
ჟა ფშაველას გარდა იმ თვალით, რა თვალითაც
დაინახა ვაჟა ეგრისელმა“.

„ვაჟა ეგრისელმა ბუბბერაზი ვაჟა-ფშაველას
ხილვების დარი ჯადოსნური სახეები შექმნა ქარ-
თულ პოეზიაში და მოგვაჯადოვა ადამიანისა და ბუ-
ნების ურთიერთობის თავისებურად დანახული უიშ-
ვიათესი სამყაროთი, ერთიანი, მოლიანი, მონოლითუ-
რი ჰარმონიული სამყაროთი, ვაჟა ფშაველას ჭეშმა-
რიტ მუზისთან ნაზიარები და ამით საოცრად ამავი
და უფაქიზესი სულის ადამიანი ის სულითმეტყველ
დიდებულ ქართველს მაგონებს, რომელიც რაღაც
საოცარ აზრსა და მნიშვნელობას სძენს ჩვენს დრო-
სა და სივრცეს სრულიად საქართველოს“ (ნათელა
გოხელაშვილი).

ვაჟა ფშაველას პოეტური სამყარო ვაჟა ეგრისე-
ლისათვის ის საძირკველია, რაზედაც აღიმართა
ხელთუქმნელი დიდი ტაძარი მისი პოეზიისა, რომელ-
საც სრული უფლება აქვს ამაყად გაიმეოროს პავლე
მოციქულის სიტყვები: „კეთილი ბრძოლით ვიბრძო-
დი, განვლე ასპარეზი, რწმენა შევინარჩუნე ახლა კი
მომელის სიმართლის გვირგვინი, რომელსაც მომ-
ცემს ამ დღეს უფალი, მართალთა მსაჯული“

პოეტი ისწრაფვის ცხოვრების არსის ახსნისა-
კენ, ფანტაზიისა და ოცნების სინთეზირებით ახალ
რეალობას ქმნის, მიმზიდველს, რაღაც დიადსა და



განმაცვიფრებელს. მისი მრწამსით „ღმერთი ამშვენებს ზეცას“ და ოოგორც თვითონ ამბობს:

...დაგდგე ტინად,
დავდგე ქარაფად.
მარადისობა ხელთ ავიდო ვითარცა შუბი“

და მაინც, ჩვეულებრივი მზერისთვის მიუწვდომელის ძიება და მოუხელთებელისაკენ სწრაფვა აქცევს მის პოეზიას აპოკალიფსურად პოეზიაა მისი საოცრების ადრესატი, მისი ბედისწერაც და კანონზომიერი გზაც. გაუა ეგრისელის დამე განუყოფელია ადამიანის არსებობისაგან და ღამის იდუმალება მაინც აბრწყინებს პოეტის სულს, რაც მისეულ ფაქიზ ხელწერაზე მიუთითებს:

*

„თეთრი ღრუბლის,
თეთრ სავარძელში,
ზის მამაღმერთი –
ზესთა მგოსანი
შიშის ქათქათა წვერმოშვებული
და მოკვდავების ლოცვით
შებურვილს
მთვარე უჭირავს ხელში ჩანგივით.



პოეტის შთაგონება, დუმილს, სულიერ მყუდრობას ითხოვს. „დიდი სიღრმეები ისევ გვაგრძნობინებენ მდუმარებას, იდუმალებას, როგორც დიდი სიმაღლეები. გილგამეშმა, უძველესი მითოსის გმირმა, სიღრმეები იხილა, იდუმალებას ჩაწვდა. თუ ჩვენ მის ყოვლისმხილველობას სახეობრივად წარმოვიდგენთ ეს იქნება უძირო ხევები ან ზღაპრული უფსკრულები. ამ დროს იშლება ზღვარი ხედვასა და სმენას შორის, იწყება „ზედამხედველობა“, ანუ „ზესმენა“, ეს კარგად ჩანს ქართულ სიტყვაშიც. გულისყური და გულის ხმა, გრძნობს რაღაც ხმას, რომლის სმენას არ ესმის“.

ვაჟა ეგრისელისათვის „გილგამეშანი“ საიდუმლოებით მოცული მთელი სამყაროა, მარადუკვდავი მხატვრული შედევრი, შუამდინარული პოეზიის ერთი ულამაზესი საგოდებელი, რომელიც თავის პოეზიაში უხვად ჩაიღვარა. „გილგამეშიანი“ ელვარებას მატებს ვაჟა-ფშაველას სულის გენიოსს და „სიკვდილის წლების“ გადასალახად უხმობს:

*

„აქ,

სხვა ზღვა დელავს, ოკეანე,
ქარიშხლითა და მზით გალეშილი.
გაჭაბუკების
არ ჩანს „ბალახი“,



მივაღლ დამეში გილგამეშივით
„სიკვდილის წლების გადასალახად“.

დიახ, „გილგამეშიანი“ მის პოეზიაში ისე მძაფრად აისახა, როგორც მისი დროის არა ერთი სხვა შემოქმედის ნააზრებში. ეპოქის ტკივილები, მისწაფება, ბუნებისა და პიროვნების მჭიდრო კავშირი, შუქი და ადამიანის ძალის დიდება ზეიმობს მის ლირიკულ ლექსებში. მისი მგზნებარე პათოსი, მაღალი ხელოვნება პარალელს პოულობს მხოლოდ ვაჟა ფშაველას პოეტურ გენიაში. სამყაროს მისეული აღქმა სულს ესალბუნება, სისხლს ატორტმანებს და დვთაებრივი პარმონიისა და სიმშვიდის გრძნობით გვმსჭვალავს.

ვაჟა ეგრისელის მიერ დუმილის აპოლოგია მეტად საყურადღებოა. მას პოეზიაში შემოჰყავს დუმილი აღვსილი პარმონიოთ, ეძებს ახალ და ახალ მხატვრულ ხერხებს, რათა დუმილის სილამაზეს აზიაროს მკითხველი. აი თუნდაც:

„ბრწყინავს და ელავს მნათთა ქოხები,
ზეცა ჩახახებს ქარვასლასავით...
მზის შესახვედრად მიიჩქარის
მოვარე ჩაუქი.
და აპა, უცებ მოწყდა ვარსკვლავი,
დედა,
ცხონება შენი ჩაუთქვი.“



აქაა შუქისა და ჩრდილის კონტრასტით გადაწყვეტილი მარადისობაში გადასვლის საკითხი. მარადისობაში გადასული დედის მიმართ შვილის გრძნობაა დუმილში განცდილი.

დუმილში ჩაღრმავებული პოეტისათვის შინაგანად იხსნება ყოფიერების საიდუმლოებით გარემოსილი სურათი:

„ბრძოლით დადლილი, კით წინაპარი -

დღე,

შემოსძახებს

ცისკრისას „ლილეს“,

მერე მწუხრისას, გადაიცვამს ნიხლის ახალუხს,
ჩაიწყობს მნათთა მოვერცხლილ ქილებს,
მოხრილ მთვარეს კი დაიკიდებს

როგორც სატევარს

და ზღვაში ჩავა დამის სათევად.

თუკი შეგხედავთ ვაჟა ეგრისელის შემოქმედებას გარკვეული პერსპექტივიდან, თუკი შევეცდებით აღვიქვათ იგი მთლიანობაში, მაშინ მთელი მისი ნააზრევი ერთ მსატვრულ ტილოდ წარმოჩნდება, სადაც დრმა და ხანგრძლივი კაეშანის, დარდის, დუმილის განცდა, ყოველგვარი ემოცია ჭეშმარიტი ტალანტის შემოქმედებაში განსაზღვრული თვალთახედვის ნაყოფია.



ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ღამის ფენომენი სა-
განგებოდაა წარმოსახული ლექსში:

მთვარის კოშკიდან მღერის სინათლე
და ბანს აძლევს ღამე
გზიანი.

სმები ჩვენამდე ადრე მოდის,
ხან იგვიანებს,
რადგან ვარსკვლავთა სიმებიანი
ცა –
ჩანგია მრავალხმიანი....

ან:
მზის ნაფეხურს შეშრობია
და ვარსკვლავი არ ჩანს
ისნის.

სივრცე ღამით დაფარულა,
მაგრამ მთვარე მკერდს შეიხსნის,
გამოაჩენს ცას –
ფარულად.

ამ ლექსებში ღამე სიმბოლოა სიცოცხლის
აღორძინებისათვის დიადი ბრძოლისა, თითქოს მუსი-
კა სხივებად იშლება და ადის მაღლა, სამაგიეროდ
ზეცით ეშვება ნამდვილი სხივთა ჩქერალი, საოცარი
შუქი, გულისძარდვამდე რომ გვაფორიაქებს. როცა
ეს ლექსები წავიკითხე, სანტ ეპზიუპერის „ციტადე-



ლი“ გამახსენდა: „მე პიმნს ვუძღვნი დუმილს, შენ რომელიც მთათა სიმაღლიდან ეხურები ქალაქს, შენს შეკივლებას და გრძემლთა გუგუნს, ყველაფერი ეს შეღამების ფიალაშია ჩაკიდებული“.

„ფიქრთა დუმილი... გულის დუმილი, გრძნობათა დუმილი, შინაგანი სიტყვის დუმილი, რადგან უკეთუსია, თუ შენ იპოვი ღმერთს, რომელიც თავად დუმილია მარადისობაში, რადგან ყველაფერი ითქვა, რაც გაკეთდა“.

ვაჟა ეგრისელი აცნობიერებს სამყაროსთან ფარული დიალოგის, საიდუმლოების ღრმად შეცნობის მისმიერ ინსტიქტს:

ასეა,

ბუნებას კი არა,

ყველაფერს ვუმრუდებთ დროს,

რომ გვიშლის ფიქრს,

გულის ნადებს,

სიცოცხლე,

სიკვდილს რომ შობს

და დღე

დამეს რომ ბადებს“.

გასაოცარი პოეტური ენერგიითაა დატვირთული ეს ლექსი, დიდი ძალისხმევაა ცალკეულ ხილვებში. ვაჟა ეგრისელს მთელი კოსმოსი კეთილისა და ბოროტის ბრძოლის ასპარეზად აქვს წარმოდგენილი.



მისი დრმა რწმენით დღე სიკეთის სიხარულისა და სიცოცხლის სიმბოლოა. დამე – ბოროტებისა და ჯოჯოხეთის.

მოხდენილად წერს მწერალი მიხეილ კეკელიძე: „შეიძლება ვაუა ეგრისელის მეტაფორული აზროვნება რაღაცით ჰგავდეს ვაუა-ფშაველას მსოფლმხედვეულობას, მაგრამ სრულიად განსხვავებული მრავალფერადი – ეგრისელისეული ყვავილები აქვს გამოხმული“.

და მართლაც, ვაუა ეგრისელი ახალი ნიშანსვეტია თანამედროვე ქართულ პოეზიაში. ფანტაზიის სიმდიდრითა და სწორუპოვარი პოეტური შთაგონების ელვარებით ტოლი არა ჰყავს. შემოქმედების წვითა და ტანჯვით, ეჭვისა და ძიების გარეშე იქმნება თავანკარა პოეტური სტრიქონები. რამეთუ თითოეული ლექსი ახალი მოვლენაა, საოცარი რამ, ფერწერული მშვენიერების ნიმუში. კითხულობთ და გჯერათ ლექსის ჯადოქარია ვაუა ეგრისელი – ჰაეროვანი პოეტური სახეების დიდოსტატი. პოეტის მიერ სამყაროს ხილვა როდია ადამიანური ყოფისა და სულიერი შესაძლებლობების მუდმივი და უწყვეტი პროცესი. ის წამიერია, მაგრამ მაინც დროს ვაბრალებთ, მის ლექსებში ყველგან ერთი და იგივე ხალასი არტისტიზმია, ერთი და იგივე მხატვრული წამოსახვის სიღრმე და ძალა. პოეტმაც კარგად უწყის განცდილი წუთის გამო, განვლილი წამების ნოს-



ტალგიური გრძნობა და მის დაბრუნების ზენით აღ-
ვხილი განსაკუთრებული სიფაქიზოთა და ალდოთი
გრძნობს იმას, რაც იყო, რაც არის და რაც იქნება:

სულთა მარადისობას –

დრტვინავს ზესთა სამყარო
და ცისფერი ქარები ჰგვანან
მახვილს ალესილს –

მთვარის შესამოსელით,
ორფეოსის ხმა მესმის,
ზარი არეოპაგელის.

და „პასუხი ექსუთა“ –
წმინდა გრიგოლ ნოსელის.

ამ ლექსში ცხოვრების აზრმა, მისმა მთრთოლ-
ვარე საწყისმა რადაც განუმეორებელი მხატვრული
ლირებულება პპოვა. ალბათ, ძნელია ამაზე კარგად
გამოხატო „სულთა მარადისობის“ უჩვეულო
ეფექტი, რადაც ამაღლებული და დიადი, ადამიანის
მოჯადოება ცისფერი ქარებით, არეოპაგელის ზარი-
თა და წმინდა გრიგოლ ნოსელის პასუხით.

პოეტი არა მხოლოდ პასიურად თანაუგრძნობს
ბუნების მშვენიერებას, თავის მიმართებას ზესთა
სამყაროსადმი, არამედ აქტიურად გამოხატავს თავის
დამოკიდებულებას და შინაგან მღელვარებას სათა-
ნადო მხატვრულ ფორმაში აქცევს.



ჯადოსნური მეტაფორების მეუფე ბრწყინვალე თხემაზია თრნამენტივით მდიდრული პეიზაჟისა. სამყაროსა და ადამიანის დიდი მთლიანობის განცდა ვაჟა ეგრისელს ვაჟა ფშაველას სულიერ მემკვიდრედ წარმოგვიდგენს. მისი სისხლსაგვერდი პოეზია, სიცოცხლის საგალობელი ბუნებაში სამაგალითოა ეროვნული და საკაცობრი თვალსაზრისით:

ქართლის ცის ქვეშ,
როგორც სვეტიცხოველი,
რომ ვმდგარიყავ,
მეც ამდენხანს გავძლებდი,
და ვნახავდი მტერს
ქართველთა მობელილს...
ციო და მიწიოთ,
მზიოთ და ციხე ტაძრებით
სამშობლოა – ჩემი საგალობელი“

შეუდარებელია ვაჟა ეგრისელისეული ბუნების აპოლოგია, მზე ედვრება სულში, სვეტიცხოველივით ქართლის ცის ქვეშ მდგარს განწყობა უხალისდება, გული უმზიანდება.

ძლიერი და შთამბეჭდავია ვაჟა ეგრისელის მხატვრული სახე; გონებით ანალიტიკური ფილოსოფიური ელემენტი თითქმის მთლიანადაა გახსნილი ემოციურ ფანტასტიკურ ელემენტებში და მის, ვისაც არასოდეს უგრძნია ჩამაგალი მზის სხივებდა-




ცურებული ზღვის სილამაზე, ის ვერასოდეს გაიგებს
ვაჟა ეგრისელის პოეზიის სიღრმეს, ვერ ჩაწვდება
პოეტის ალალმართალ, უგულწრფელესი პოეტური
სტრიქონების დედააზრს.

სანაპიროზე მდგარმა ხეებმა
ნეტავი ერთურთს
რა დაუშავეს,
რომ ერთმანეთი ასე დახოცეს.
ზღვას კი დატალდულ თმებს კვლავ
უმშრალებს,
ქარი ნისლის ჭუჭყიანი პირსახოცით.

ციალა მჱსხია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სახწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



* * *

ოთარე

ცაცხების ჩრდილში მიმწუხრისას
ხსოვნა ინთება,
დგას შენი ლანდი,
შუქბაბზარულ მთავრის სარკესთან,
და კივის შავი სასოწარკვეთა,
პირდაღებული,
დავიწყების ლაბირინთებით.

· · · · ·

ო, ვინ მოგიხმო მარტოსული
ამ სიშორეში!..

1983

* * *

მოგვდევს და მოგვდევს...
მოგვდევს ძუნძულით...
ხან შორით გვიღრენს,
და ადევს ფერი გაცრილი ქვიშის.
ძვალი და ტყავი,
ომაგაბურძგნული
მოგვდევს ნადირი –
სიკვდილის შიში.

1974



კატარა ქუჩა

არავინ არ ჩანს...

ნაცემ ლეპვით

წერებულებს ბნელში

პატარა ქუჩა.

ყველა ეზო-კარს ადევს ზამთრის

თეთრი ურდული...

სიცივეს ფანქრით შეუდებავს

თვალები

ლურჯად,

ცას, —

თოვლით სახე აქვს გაპუდრული.

1966



შამს გათხვების

აქ მთელი დამე ხეთა ჯარი კვირტებს ისროდა,
მტკვარიც ხმალივით ტალღებს იქნევდა
და მერე გვიან –

შამს გათხნების –

ისე დააჩნდნენ კრწანისის ველს ყაყაჩოები.
თითქოს და ისევ გამოჟონა აქ –
წარსულიდან –
სპეტაკმა სისხლმა არაგველების.

1962



ფქის იდილია

თავის გასაჭირს ტირის ურემი,
მინდორს სტკივა გზა
და ნაურმალი
მიიპარება და ჩერდება
იქვე ღელესთან,
სადაც ჩრდილებში ქალწულივით
ჩემი სქვია წევს.
გამხდარი წვიმა
ტყის სიღრმეებში –
მაღალ თელებთან
თავის წერწეტა ტანს კვლავ მიარწევს.

1961



* * *

წახველ...

დამტოვე

მარტოობის შიშველ ნაპირთან

მოიქცა ქამი...

და ნათელზე ფიქრის თუ

ელგის

მომესმის ჩქარი, მთვარეული –

შენი ფეხების,

თითქოს ქვად ვიქც მარტოსული

და ახლა ველი

შენი გრძნეული ხელის შეხებას.

1986



* * *

ხელაპყრობილი მზე და ლოცვები
შიშის ზარებით
ჩამორეკეს

ციდან ღმერთებმა.

მერე თქმულებამ...

და ათასმა ზღვაშ

და ლეგენდამ

გადაუარა რძისფრად, მძინარ

ათასწლეულებს

და აქ, კოლხეთის ცისქვეშ – შედედდა.

1979



* * *

მომენტება:

თბილისისკენ ხელებგაწვდილი
მორბიან გზები
ჩემი ხორგის და ლესიჭინის,
მოაქვთ მშობელი დედის ლოცვა
და ჯვარი გაზის...
ქრება მირაჟი...
ნახირდამფრთხალ
მწყემსის ბიჭივით
დაღონებული ვზივარ მერე
მოწყენის ქვაზე.

1969



დიოსკურია

აქ

ცისარტყელას დაწყვეტილი

ქვითინებს სიმი

და მწარე წარსულს დასტირის კოლხთა,

ქარი ტორებს სცემს შავით მოსილ

ღრუბლების ბექობს.

აქ ზღვის ძახილი

და ტალღის ოხვრა

მომესმის მუდამ

დაღუპული მამულის ექოდ.

1964



შპგლაგება

სძინავს დიდუბეს...
სძინავს მთაწმინდას,
და ვარსკვლავები ისე აწვიმს,
როგორც აწვიმდა...
და აქ, სიცოცხლე
და სიმაღლე ჩემი მამულის,
ჟამს, როგორც განძი უძვირფასესი,
ლოდებქვეშა აქვს
გადამალული.

1989



ცისპრად მოურენა

თვალებცრემლიან წუხილიდან
ცისკრად მოფრინდი,
გეგონა: ჟამი ხელგაწვდილი
კართან დაგიცდის.

და გვიან იწყე ზამბახებით
გზათა მოფენა.

მითხარ,
წყვდიადში, მხოლოდ ერთი
ლამაზ წამისთვის,
სიცოცხლევ ჩემო!
ნუთუ ცისკრად ღირდა მოფრენა?

1992



პირველი

უხმობს მთვარე –
მამა – მძუძე.
მზით ნაშობი,
მზით იურვის...
ცისფერ თასით ეს "აია"
მარტოა,
ვით ბიბლიური –
დგომისმოსავი ესაია.

1970




შენი სახელი

როცა ცად ამაღლების –
ოქროს ზარი დარეკავს
(არაფერს არ ვამეტებ!),
ვაჟა! –

შენი სახელი
დაერქმევა პლანეტებს.

2001



ၬ၀ဖုန်း

၌ယွဲလောင်း... ၌ယွဲလောင်း... ၌ယွဲလောင်း
ဘာမျှလောင်း၊ ဒုက္ခတရွှေ၊ ၎င်္ဂံပါး...
ဇာတ်၊ ရွှေတ်၊ မြတ်တို့၊
ဇာတ်၊ ရွှေတ်၊ မြတ်တို့၊
မာမီ၊ ဒုက္ခတရွှေ – မြတ်တို့၊
အောင်၊ အောင်၊ အောင်၊ အောင်၊
နှောင်၊ အောင်၊ အောင်၊ အောင်၊ အောင်.

1978



0სეპ ორდინი

წიგნით* ხელში მედეას
ველით, მაგრამ არ მოდის,
მაინც, ვითარცა წინათ,
ცოდნის მზე –
ძველ ქართული,
კოლხეთიდან ამოდის.

1967

* წიგნი – იგულისხმება ოქროს საწმინი ანუ კვირბი
(კრაფის ტყავზე ნაწერი წიგნი)



* * *

სადღაც დასალიერთან

დღე,

დამეში მიმალა,

თოთქოს და ოჯალეში

ქვევრებით დაელიოს,

ფეხარევით მიმაგალ

ნათლის ძე —

კოლხ ჰელიოსს.

1959



სიშორე და სიმარტოვე

მნათობები აკვანს ურწევს,
მაგრამ მაიც არ იძინებს,
წამით მარტო აღარ მტოვებს,
მუდამ თვალში ჩამციცინებს
სიშორე და
სიმარტოვე.

2006



ზღვა, მაინც ზღვაა

რომ შეარყია ცა და ხმელეთი,
ქუხილი არა,
ის ზევსის ხმაა
და ნისლებს აფენს ნაპირზე თარგად.
ქარში, გრიგალში ზღვა,
მაინც ზღვაა,
და თავს საკუთარს არასდროს
კარგავს.

1997



ლოდები

შიშით მოცული დამის თვალები,
არყოფნის თვალებს
აფახულებენ.

მე აქ

არავის არ ველოდები.
როგორც სიკვდილის ნაფეხურები –
სასაფლაოზე ყრია ლოდები.

1962



* * *

სიჩუმის ბილიკებით
საავკაცოდ მოსულმა,
მეხთა-ტეხამ დღის კიდე
ჩალეწა და ჩახია.
ზღვას მთვლემარე ნაპირთან –
ღელვის გული მოუკლა.
მწუხარმა ვარსკვლავებით კი
ააგსო ცის ჩახვია*,
მერე თავი უეცრად –
ელვის ბაწრით მოუკრა.

1963

* ჩახვია (მუგრ) – პატარა ტომარა



სანაპირო, ზღვა, გრიგალი

ტანშიშველი სანაპირო,
თითქოს ქალი არის მრუში:
ცხელი ქვიშის ისმის ხვნება
და ზეირთების მტლაშა-მტლუში...
ზღვაა თითქოს ბარდერი.
და გრიფალი მიდის,
მოდის,
როგორც მილიარდერი.

1997



ქაზალები

სადღაც,

ალბათ გრიგალები,

ზღვას და მიწას აზავებენ.

აქ, კოლხური საღამოა ისე ჩუმი,

რომ ვარსკვლავთა თვალს ახელენ

ყაზალები*:

ნიზამის და ხაიამის,

საად, ჯალალ-ედ-დინ-რუმის.

1984

* ყაზალები (არაბ) – სპარსულ-არაბულ პოეზიაში ორ-
ტავპიანი სტროფები

* * *

ქარიშხალი შლეგ ზვირთებს –
ცას შეუდგამს ბუხრებად.
აფროდიტე ჩაიცვამს
ქალის სპეტაკ წვრილთვალას,
მერე მოვა ნაპირთან და...
ზღვას დაემუქრება!!!

1984



* * *

ბედისწერამ ქართვლის ცის ქვეშ:
უკვდავებას აზიარა,
ზოგიც გასვა ძელზედაც.
საქართველო მთებზე არა,
წინაპართა ძვლებზე დგას.

1993



დრო

ერთნაირად მეუფობს
მიწას,

წყალს და ცის კიდეს
და დრო არსად არ მიღის,
მიტომ ფეხზე იკიდებს
ჰელიოსს¹ და აიდის².

1969

¹ – ჰელიოსი – მზის ღვთაება

² – აიდი – ქვესკნელის მბრძანებელი



* * *

მტერთა ჩემთა სიმრავლეს –
გამრავლებ და
გაჯამებ,
მათი სული ქვესკნელის კედლებს
უნდა მივასხა.
თასის გამოსახსნელად ლაშქრად
მივალ
ქაჯავეთს
და საშველად მოვუხმობ კოპალას
და იახსარს.

1961



ზიალა, ჰინტილა, ყარყარა

ყოფნისა და არყოფნის
სიამეს და სიავეს,
ფართოდ ყვება ფიალა,
ხოლო უფრო წვრილ-წვრილად –
ჭინჭილა და ყარყარა.
ქართველს,
ღვინის ტრფიალმა,
სიცოცხლე და სიკვდილიც,
ორივე შეაყვარა.

2001



აქ ღევები მეფობდნენ

გადმოყარა უფალმა ციდან ყველა
აგსული:

ჯარბი,

გველი,

ვეშაპი,

მიწისაკენ დაიძრნენ.

შვიდი ათას წელიწადს აქ დევები
მეფობდნენ,

სანამ არ ამოწყვიტა ერთობ

დარეჯანის ძემ.

1961



* * *

ვისმენ ჩურჩულს ანგელოზთა...
ღვთისმშობელზე ღოცვით
დაღლილს,
ღმერთზე ფიქრით დამენათევს.
გხედავ: სანთლით უფლის წიგნში*:
ლუბას,
მარკოზსა და მათეს.

1969

* უფლის წიგნი – იგულისხმება სახარება



* * *

უქაროდ და უქარიშხლოდ,
არრას ამბობენ,
ზღვაა მუნჯი.
მაღლა უხმეს მთებს ტყეებმა.
დამის ქვაბში ცა
აუნჯებს —
გარსკვლავთ ფერთა მეტყველებას.

1966



* * *

ცით ჩამოდის მიმწერი და
გარსკვლავების თვალებს ნაბაგს
და ედება ნაპირს ობად.
მოვა ქარი,
ზღვის შავ კაბას,
შემოავლებს ქაფის ქობას.

1959



* * *

მოსვლის დღიდან ამქვეყნად,
შთამომავალს ადამის,
მზის ამოსვლა გვიკვირდა.
რადგანაც დღე-ყოველი
შეწვევაა სიკვდილთან.


2001



* * *

როგორც ადრე,
პონტოს პირას,
ახლაც ჭაქვინჯს და
მაღოაყვას,
სიყვარული კვლავ ამოხეთქს,
რადგან წუმად ვურწევ
აკვანს, –
გუბაზის და წათეს კოლხეთს.

2005



* * *

ცხოვრება ხეა,
ჩვენ ვგავართ მერქანს,
ჩამოგვთვლის ჟამი...
ვერ მოვასწრებო
თვალის
გახელას.
აი, წამის წინ,
ამ საცოდავს
სიცოცხლე ერქვა,
ახლა სიკვდილი ჰქვია სახელად.

1993



* * *

ცად ღრუბლები მიმოდიან –
ელვით გასანასკვავები,
და ელიან ნიშანს მეხის.
სიბნელეში სინათლეა –
მეტყველება ვარსკვლავების.

1962



პოლსური თასი

ამაყი და თავმომწონე,
მზით და ოჯალეშით ვავსებ
და ყულევთან ხუთი ათას
წლის წინ მოჭრილ – კოლხურ თასით,
ჩემს დიდ საქართველოს გლოცავ!

2001



ტუტანეამონი

მსხვერპლს სწირავ დმერთს ნილოსის
და ლურჯ ტაძარს ამონის,¹
ქვეყნად არვის არ მონებს –
"მენგურელი"² ხელმწიფე –
დიდი ტუტანეამონი.

1978

¹ – ამონი – ეგვიპტელთა დეონაება.

² – "მენგურელი" – მეგრელი.



* * *

ღრუბლებმა რომ ჩამოიხრჩონ

თავი,

სიმარტოვის ცის ქვეშ.

ზეცა ელვის თოკს არიგებს.

ზღვა ბობოქრობს და მრისხანებს...

მზე ჩადის და

ქარიშხალი

ტალღებს დაათოხარიკებს.

1976



ძორთუ გაშა

ქორთუების სამოსახლო,
ამ შორეულ თვალთხედვიდან
ჩანს აჩრდილად
და მირაჟად,
მაგრამ მაინც ნათლად ვხედავ –
კოლხ ხელმწიფე –
ქორთუ – ვაჟას.*

1989

* ქორთუ ვაჟა – მითანის (ჩრდილოეთ საქართველოს მთიანეთი) მეფე რატის შვილი. ფარაონ თათუ – ნეფერტიტის ძმა

* * *

ანგელოზების გზას არა,
მარად ცად ყოფნის მანიებს,
ვერცა ვედრებით,
ვერც ლოცვით,
ვერასდროს მოინანიებს
გნებას,
რასაც ჰყოფს სულს, ხორცი.

1999



* * *

ქარის ხმაზე,

შავ ბელს-ღრუბლის,

მთის ბილიკზე მავალს მყარად,

კვლავ ეცვალა უცებ მხარი.

მერე დამეტ,

ცის ბილიკზე დაბმულ

მთვარეს,

ვარსკვლავები საკენკივით დაუყარა.

1961



ეპქ!

ოდის წინ პატარა მინდორზე
ირევიან ყვითელგულა
წიწილები,
შუაში დგას სმენადქცეული
კრუხი,
გუმანით ქორის ლანდს ხედავს.
ეპქ!
ეპქ!
ეპქ*!

წარმართივით ქორს აფრთხობს დედა.

1958

* ეპქ – შინაური ფრინველის მფარველი ღვთაება ძველ
კოლხურ პანთეონში



სიცოცხლე, ცხოვრება, სიკვდილი

ჩვენს ჩურჩულს ამ ცოდვილ მიწაზე,

ცა – რუპორია და

ახმოვანებს...

სიცოცხლე,

ცხოვრება,

სიკვდილი, –

ამაოებაა სამსახოვანი

და ჩვენ სულ ტყუილად მივტიროთ.

1969



გაზი

მასში უფლის სისხლი დუღს...
უფლის ხელით დაწნული,
თითქოს ნინოს თმებია...
ასჯერ აჩეხილი და
ათასჯერ დამეხილი;
მაინც ცას და სიცოცხლის ხეს,
ვით ატოტებია,
მოყმის დაჭრილ ვეფხვივით.

1994



* * *

როცა ჩაივლის პოსეიდონი,
შამოვა ქარი ჭავლის
შრაპნელით,
ზვირთებს ამოსდებს ცას
აღვირებად.
მერე ზღვა გრაგნით თავს ასწევს და
გველეშაპივით,
ჩასაყლაპავად დედამიწას
დაედირება.

1986



თარი თარალი

სულისლევით მიმელის
მე,
ზაფხულ და ზამთარი –
ღამით დაუფარავი:
ზევით –
"ჟინი ანთარი"¹
ქვევით –
ოარი,²
ოარალი.³

1969

¹ ჟინი ანთარი (მებრ) – ცის ღვთაება

² – შემერტელი ღვთაება

³ – ოარალი (შემერ) – ქვესკნელი



* * *

აღარსად ჩანს სიზიფე!
მთაზე ლოდის ატანის
ჟამი,
ალბათ მოთავდა.
თურმე წუთისოფელი:
ხარხარია სატანის,
ლრიანცელი მოკვდავთა.

1973



აპენის და პირიენის

წარდგნამდე კი არადა,
ქიმეთს* – "ნანას" ტაძარში,
თითქოს ახლა იღოცა.
ვიდაც უქცევს კოლხურად
და უხმობს: აკვირინეე!
ეს ხმა მესმის ნილოსთან,
ხმელთაშუა ზღვისპირეთში,
აპენის და პირიენის.

1982

* ქიმეთი – ძველი ეგვიპტის სახელწოდება



* * *

ამბიონზე შემომდგარი
მთვარე,
თითქოს რიტორია
(ღრუბლები სმას არ იღებენ)
და ყვება ცის ისტორიას –
გარსკვლავების თარიღებით.

1959



* * *

მოასვენებდი მითანიდან¹ –
გრაალს მოწიწებით აყვანილს...
არც ბედი გქონია,
არც იღბალი.
თუმცა შენ დაურწიე აკვანი –
ფაირეფიცის და
პარციფალის.²

1963

¹ მითანი – იგულისხმება ძველი კოლხეთი

² პარციფალი – კოდფრამ ფონ გშინბახის პოემა



ALISTAIR

არგონავტები

უცხო ლანდთა ხილვაზე,
კოლხეთის ცა დამძიმდა.
ვჭვრებ: არესის ჭალაში
მდგარმა მუხამ დალატის
ფოთლები ვით მოისხა.
და... ჰექატეს ტაძრიდან –
მოაქვს ათასწლეულებს
ზარისა და გლოვის ხმა.

1963



ဓာတ်ထောဂါ

ပုံမှန်ခွဲပါ? သို့ရှုနို့လျှော့ပါ၏ မောင်မြတ်များ

ဂျောက်၊

တွေ့ပေးပါ၏ အမြတ်မြတ်စွဲ –

ဒေဝါဆီ မျှော်လျှော်အောင်...
အမြတ်မြတ်စွဲများ

နေ့တွင် အမြတ်မြတ်စွဲများ
မောင်မြတ်စွဲများ

မောင်မြတ်စွဲများ

နေ့တွင် အမြတ်မြတ်စွဲများ

1989



იალუს მინდვრები

სიკვდილივით —

სიცოცხლე,

ზოგჯერ თავზე გვევლება,

წვენ კი ხილვა გვინდება:

ელისეის ველების

და იალუს მინდვრების*.

2007


* იალუს მინდვრები — სამოთხე (ეგვიპტი)



* * *

წინაპართა სულები,
ვარსკვლავების ქოხებში,
რახანია სახლობენ...
მე კი მასთან მისვლა და
ნახვა დამაგვიანდა.
თუმცა ნაკურთხს და მაღალ
სანთლებს ვუნთებ ნიადაგ,
მარადიულ ნათელში მყოფ –
შორეულ ახლობლებს.

2007



ნორჩო ვაზო, მტევან დიდო

ცას მოწყალედ შევციცინებ,
იქნებ სადმე თვალი გკიდო მას,
ვინაც რომ ადამის ძის ცოდვა –
ბრალი ზურგზე იდო.
მე, ჩემს სიგრძე სანთელს გინთებ,
ნორჩო ვაზო, მტევან დიდო.

1967



გმირმა იგმირნა

რადგან ამდენი შხამი დალიკ,
მო, ნუ შეგაკრთობს
დარჩენილი წვეთი სამსალის,
შესვი ესეც და...
გმირმა იგმირე.
და შენს მაღალ შუბლს –
ქართვლის ცასავით,
მოვა და დაფნით "ის" გაგიგრილებს.

2006



* * *

რწმენა დვთის ერთადერთობის –
ათასწლეულებს მისერავს...
უღმერთო მოკვდავთ ცოდვები –
მხრებზე ცით ჩამოუწონეს.
მზე ღმერთია და მის მზერას,
თვალს მიტომ ვედარ გუსწორებთ.

2001



* * *

სადღაც დასავლით,
მზის დარჩენილ ალისფერ ტოტზე,
ციცქა ღრუბელი მოჩანს ხოხბის
შებუმბლულ ღლაპად.
მთვარე კი მიწას უგზავნის ამბორს.
მოხუცი ცა კი,
ვითარცა ზღაპარს,
მწუხრის ვარსკვლავებს ამბობს და
ამბობს...

1989



ოკეანე და ცუნამია

დამით მოციმციმე ვარსკვლავები,
დღისითაც განა უტილია.
ცას რაც უწვიმია და
უნამია,
რაც ქვეყნად დედებს უტირიათ –
ოკეანეა და ცუნამია.

1993



0სეპ 0სე სძინავს ურჩხულს

ათასწლეულების მერეც,


ფაზისის პირ –

ტანწერწეტა ლერწმის დერებს,
ხმა კვლავ არხევს ორფეოსის.

ისევ ისე სძინავს ურჩხულს –

დალატის და მწუხარების
ნისლით მოსილს.

2003



* * *

საუკუნეს დღეები
მისდევენ, ვით ერკემალს.
გამჩენი კი მოკვდავებს,
რა ქნას, ვეღარ იფარავს.
და არ ყოფნა მთებს მიღმა –
ყოფნას მიერეპება,
ვით პატრონ მკვდარ
ცხვრის ფარას.

1992



გრაალის ბარძიმი

მოსვლის დღიდან მოველი
სულიწმიდის გადმოსვლას
და ფიქრები მამიმებს –
ქვესკნელს უნდა შთავიდე მე,
გრაალის ბარძიმის პოვნად,
გამოსახსნელად.

1959



საქართველოს ისტორია

საქართველოს ისტორია –

არის ჩემი ბედისწერა.

და მე ვხედავ:

მარჭვალ-მარჭვალ,

პეფესტო ჯაჭვს როგორ კვერავს

ამირანის მისაჯაჭვად.

1989



სოფოპლე, პინდარე, პასიოდე

ბერძნული პოეზიის ცის კაბადონს,
შორი და კაშკაშა, ვით მთიები,
შემორჩა ხატება ექვსიოდე:
სოფოპლე,
ესქილე,
ევრიპიდე,
პომეროსი, პინდარე, პესიოდე.

1966



სამოთხეთა სამოთხე

სიახლოვე აშორე ქრისტეს ფეხთა
მკვნეტავთა.
დავით მგოსანს არგუნე –
ქვეყნად რაც ლამაზია.
დაუმკვიდრე ნეტართა
სამოთხეთა სამოთხე,
რაც მეათე ცაზეა.

1991



ზეგსის ლეგა არავითი

ისევ შენ განაცვალებ,
ჩემს სიცოცხლეს დარჩენილს
ზეგსის ლეგა არწივი
სიყვარულით მიტაცებს
და მე ცაში ვძინადრობ...
რომ დაუეშვა მიწაზე
ნებას არ მრთავს გამჩენი.

1960

ოლქაშვილი

ამაღლებული მაინც გავეძრახები

სიშორით გადახურული
ჩანს მთვარის ძველი

კარავი,
ისმის სხვა მნათთა,
სხვა ხმები.
ქვეყნად არის თუ არ არის,
ღმერთს მაინც გავეძრახები.

1959



မဝတရဝိဇ္ဇာန် ၁၁၁၁

ქျော်များ – မှတ်ခွင့်

မြတ်စွာလုပ် ကျော်များ

ဗျာများ:

(အမှာ လွှာ တွေမြုပ် မြတ်စွာလုပ်)

– ပါမံမြတ်,

ခွဲ့မြတ်,

လျှော်စွာလုပ်,

ကြော်မြတ် – ပါမံမြတ်

1961



* * *

სადაც ყოფნა,
არყოფნას,
წუხდა გაბედითებით,
სადაც ოვალებს ახელდნენ –
ზღაპრები და მითები,
ო, ის ძველი კოლხეთი –
არის ჩემი სახელი.

1963



შიგნი — "ნათელნობა"

ცით ჩამოსული წყალობად,

პოი,

რა სილამაზეა, —

შიგ,

არსოთა გულისმპყრობელი.

ეს წიგნი არა,

ვაზია,

რჩეულთა "მოსართლობელი".

1975




* * *

ცას მოსკვდა და,
მეტეორი,
უსამანო სიჩუმეში
ატლანტიკით იძირება,
და ვჭვრებ შიშით ქანკალებენ:
მარები¹ და მაკრალები²,
დრილები³ და ბიძირები⁴.

1967

1,2,3,4 – ძველ კოლხური (ქართველური) ტომები.



0სეგ მოლოდინი

სადღაც,
ცის ზემოთ,
სადღაც უფლის პყვავის ბაღები
და ტყე შრიალებს მწვანე
კედრების
და ალვათა ჩრდილი
ირწევა.
სადაც ვერ აღწევს ლოცვა-ვედრება,
იქ ველოდები მალე
მიწვევას.

2006



აია – ღმერთი... და ძველანა

რადგან მოვედი აქამდე,

რაც იყო...

უარესს არ ვეღი.

მთიები ყრია, ვით ეყარა

ცაზე და...

იქიდან მდარაჯობს:

აია – ღმერთი – (და ქვეყანა).

პონტოს ზღვის,

და კოლხთა მფარველი.

1962



* * *

ცის შიშვეპარულ სიმყუდროვიდან –
მეხის "ძახილი" მოისმის
ხაფი.

ქარები აგებს ზვირთთა ეიფელს;
დამშვენებული არშიით
ქაფის,
ნაპირს უჭირავს ხელთ ზღვის შლეიფი.


1963



* * *

წემს დიდ კოლხეთს დასდგომია
დრო და უამი სიბერის:
აღარსად ჩანს –
გვაზა მეგრი,
არც მახუნჯაგ ტაოელი,
არც აბიო იბერი.

1964



იშთარი და იშხარა

ღრუბლებსა და ქარ-წვიმას –
ცის და შიშის ბილიკზე
მილალავს, ვით ვხვრის ფარას:
ადადი¹ და არურუ²...
იშთარი³ და იშხარა⁴.

1960

¹ ადად – წვიმის, ჰექა-ქუხილისა და წარღვნის მბრძანებელი.

² არურუ – ადამიანთა შემქმნელი ქალღმერთი

³ იშთარი – ნაყოფიერებისა და სიყვარულის ღვთაება.

⁴ იშხარა – ადამიან-დვთაება (გილგამეშის სატრფო).

* * *

ზამთარი, როგორც ბერდედა,
ცის საჩერელთან მიმჯდარა
და ჩეხავს თოვლის
ფანტელებს
და მერე თავზე გვაბერტყავს,
თვალებს გვჭრის
უცხო ნათელი.

1984



მალენჯიხა

აქ,

მაცხოვრის ტაძარში

სძინავს ლევან დადიანს

და დადიას მრევლი კი

არსად დაჭაჭანებენ.

მე ლეგენდებს ვაწყნარებ,

თუმცა მესმის ჭანების

ციხის კედლის ჭანჭყარი:

„ჭანდიხა დო ჭანწყარი¹“

2003

¹ ჭანის მიწა და ჭანის წყალი (მეგრ.)



* * *

ოცდაცამეტი წელია,
ავდარია თუ დარია,
მივყები მე ჩემს დარიალს
და აპა, ბნელში ინათა,
ვჭვრეტ: ვით მაცხოვარს ხელს მიქნევს
ოლიმპოსა და
სინას მთა.

1974



აინანას, დაინანას

მე, ის არ ვარ,
ქვეყნად მოსვლა,
ვინც იწუხა და ინანა,
თუმც აუგი ბევრმა მითხრა,
მაინც სანთელს ვუნთებ
მითრას¹,
აინანას²,
დაინანას³.

1964

1 მითრა (სპარს.) მზის, სინათლის და სიმართლის ღმერთი.

2,3 – კოდხური (ქართული) პანთეონის მგელი ქალღმერთები.



* * *

ცაა — უდაბნო,

დამე — ეგვიპტე,

მთვარე — მოსე,

მთიქი — მრევლი.

დღეები — ცრემლი...

ცრემლი...

ცრემლი...

1966



ჟყონდილსა და ღვინის ხეს

უფლის ხილვად ისწრაფვის
შუამდინარეთს კედარი,
ვით შუმერთა ტოტემი.

აქ,

კოლხეთში სიცოცხლედ,
ჭყონდიდსა¹ და ღვინის ხებ²,
კვლავ ეზრდებათ ტოტები.

1971

¹ ჭყონდიდი – დიდი მუხა.

² ღვინის ხე – ვენახი, ვაზი.



ღმიართი შეგვახვედრებს ერთმანეთს

კოლხეთს დაგუბრუნებ შორს წასულ
ლეგენდებს..

ათასწლეულებს.

ხსოვნის ქარმა თუ იქარა
(ღმერთი შეგვახვედრებს ერთმანეთს)
და თავს მოგუყრი ზღვისკარად:
ჩემს დიდ წინაპრებს:
ეტრუსკებს,

ფრანგებს და

ესპანელთ.

1970



პოპალეს და აგუნას

ქვეყნად ყოვლის მეუფემ,
ზოგს სიკვდილი და ზოგსაც,
უპვდავება არგუნა:
ჯეგესა¹ და ითრუშანს²,
კოპალეს³ და აგუნას⁴.

1981

1, 2, 3, 4 – ძველი და ახალი ღმერთები.
5 უყვაიჭარე (მეგრ.) უბედო



შეგაიჰარე

ეგეოსის ზღვის ნაპირებს,
ჰელიკონის მთებს და
გელებს
და კორსიკის უყვართ ჭალებს,
პირეიდად გადმოსული,
კოლხთა სული –
უყვაიჭარე.⁵

1972



პე – შეცდენილი უნასის

ცისა და უფლის ნათლულნი
სხედან და...

ჟამთა ბრუნვაში,
ცოდვებს, ცრემლებით აშრობენ –
ძე – შეცდენილი უნასის,
ცოდვილ დედისგან ნაშობნი.

1993



* * *

აქ სიყვარულს იცინიან
იები და ვარდები.
ცვარი რაა,
ისიც ციდან,
მარგალიტად ვარდება.
ბიბლიური ხმები ისმის
კოლხ-იბერთა ბარდების.*

1984

* ბარდი (კელტ) სახალხო მგოსანი, მომღერალი



* * *

შურით გასენილ კაცობრიობას,
აღარ უშველის ციხე და
ხარო,
ოვალები მუდამ ექნება სველი,
დედამიწაზე სანამდე ხარობს,
იუდას ხე და
გაენის გელი.

2004



* * *

ისმის სიმყუდროვიდან –
ვარსკვლავების ღაღაღი:
მთვარე ეშაფოტია ძველი
და წარმართული.
და ლოცვები ცად ადის –
ფიქრის ფრთების ფათქუნით.

2000



ცისკან ლოგიკური გაყვეპი

ბევრი ათასწლეული,
შენი კოლხურ როდინში
ისევ დაინაფება,
რადგან დელვას არ იშლი.
ცისკენ ღრუბლებს გაყვები
ძე –
ზღვისა და ქარიშხლის.

1976



თორგელ-ტუგელ-ტიბარნი

პონტოს ზღვიდან –
მეოტიის ლურჯ ტბამდე,
ამ მთების და
იმ ბარის –
იყვნენ ბატონ-პატრონი:
თობელ-ტუბალ-ტიბარნი,
კულხა-კოლხა-მაკრონი*.

1964

* უძველესი (კოლხური) ქართველური ტომები



* * *

სადღაც დამის მინდორზე,
უსინათლო მთვარე დგას,
ვით გამხმარი ალვის ხე,
რომელსაც ცა დილამდე,
თავს –
გარსკვლაგებს არისხებს.

1964



ეტრუსკებს, ბასკებს და პელიაზებს

მათი ხსოვნის ნათელი –
უამთა უდრანს მიღამპრებს...
მძვინვარ ათასწლეულთა ჯერაც უვალს,
ვთელავ გზებს:

რომში ვეძებ ეტრუსკებს¹,
ელადაში –პელაზებს²,
ესპანეთში – ჩემს ბასკებს³ –
უწინარეს წინაპრებს.

1967

1, 2, 3 – ძველ კოლხური (ქართველური) ტომები



အဆိပ်အဖြစ်၊ မန္တ နာ ၆၀၁၃၀

ဒုက္ခတရာ၏ ဗျာမျှမှုမှ ပါမံမြတ်သွေ့၊
အကိုင်းပို့၏ မျှော်လွှာမှ မန္တ
ဗျာမျှ၏ ရှိရှိ ပြုပေး အလျော်။
နာ ၅၁။ ရှိရှိ ပြုပေး အလျော်။
အနေဖြင့် အမြတ်သွေ့၏ မျှော်လွှာမှ
အကိုင်းပို့၏ မျှော်လွှာမှ မန္တ။

အမြတ်သွေ့၏ မျှော်လွှာမှ မန္တ။
အကိုင်းပို့၏ မျှော်လွှာမှ မန္တ။
အမြတ်သွေ့၏ မျှော်လွှာမှ မန္တ။
အကိုင်းပို့၏ မျှော်လွှာမှ မန္တ။
အမြတ်သွေ့၏ မျှော်လွှာမှ မန္တ။
အကိုင်းပို့၏ မျှော်လွှာမှ မန္တ။

1971



ავგვას თავშა

ყრია ფუნა ღრუბლების,
ცაა — თავლა ავგვა.¹
ოცდაათი კი არა,
მილიონი წელია,
რომ არ გამოუწმინდავთ
ურანოსსა² და გეას³.
და... ჰერაკლეს⁴ არა ჩანს.

1972

¹ — ავგვა — ელადის მეფე, პელიონის ვაჟი, მრავალი ათასი პირუტკვი მეპატრონე

² — ურანოსი — ცის ღვთაება

³ — გეა — მიწის ღვთაება

⁴ — ჰერაკლე — ბერძენი სახალხო გმირი



* * *

სიჩუმის მიღმა,
დასალიერთან,
ცისა და მიწის ისმის ქვითინი,
რომელმაც სახე ქარით იცემა.
სანაპიროს კი დელტა –
თითივით
უდევს,
უსინჯავს ზღვას გულისცემას.

1973



ალბათ, არგონავტები

ვითა ტროა, რომ აია —
ნამდვილია...
არავინ თქვას, რომ მითია!
პონტოს იქით —
სხვა ზღვები და
სხვა მთებია...
და ვჭვრებ წარსულს: კოლხეთისკენ
რომ ილტვიან,
ზეირთნი არა!
ალბათ,
არგონავტებია.

1974



* * *

უძველესი ქოლხეთი,
გით პირველი მოსახლის,
კაცის არა,

დგთის არი, —
ოქროდ დამდნარ ცითა და
გელ-მინდგრებით მდიდრულით.
და მე,

როგორც ეპატორს —
“ამირანის ისარი”,
ხელზე არა, გულში მაქვს
ცეცხლით ამოტგიფრული.

1961



* * *

ამ წელისოფლის აურზაურში,
ათას ჭირსა და

ვარამს მიმალავს,
ქვებუდანობა და აბრუნდები^{*}.
და ვედრი უფალს:
ჩემს უგზოგზას შორეთს
მიმავალს,
მალე არგუნოს შინ დაბრუნება.

1999

* აბრუნდი, ქვებადანობა – მზაკვრობა



* * *

ჩემი ძველი ქოლხეთი,
სულ უწვდიდა მარჯვენას –
ოკეანეს ატლანტის,
მის ზღვებით და მის მოებით.
“სულს საფლავში ატანდა” –
ლეგენდებით,
მითებით.

1969



პელაზგონი

თვით ბერძენი ჰესიოდე¹,
ჩვენ უტყუარს გვაძლევს
ნიშანს,
ყურად ვიღოთ სიტყვა მგოსნის,
რომ პირველი,
ვინ ღვთით ოშეა
იქ,
ბერძენი კი არა და,
იყო კოლხი – პელაზგონი².

1969

¹ ჰესიოდე – VIII ს. ჩვ. აღ.

² პელაზგონი – ეპონიმი (ფუძის დამდები) პელაზგების



ზღვამ გააჭნა ნაპირს სილა

თვალციმციმა ვარსკვლავები,
ავლავ მოედვნენ ცას
სიცილად,
სივრცე იქცა დილის ყანად.
ზღვამ გააჭნა ნაპირს
სილა
და ლრძო გული მოიფხნა.

1979



დევგალიონის წარდგენა¹

აი,

მაშინ გენასათ ნილოსი და

ფაზისი,

ჩე გოლა² და ურთის მთა,

დრეკა კავკასიონის,

როს პელაზგებს,

პელაზგმა —

ზევსმა თავს დაარისხა

წარდგნა დევგალიონის.

1964

¹ დევგალიონის წარდგნა, რომელიც ზევსმა კაცობრიობის პირველ მოდგმას — ქოლხებს (პელაზგებს) მოუპლინა.

² ჩე გოლა — თეთრი მთა კოლხეთში



* * *

ეს საწყალი პოეტი,
რომ შეიპყრო მანიამ,
გამხეც-გატყიურდა.
თუმც წუხს: გეთსიმანიის
ბაღში,
ამბორს, როგორც ყოფს
ქრისტე — უფალს
ოუდა.

1987



* * *

წარსულიდან გადმოაქვს
ნიაგს დილის საარი.
აქ თავისას იმკიდა
ტავერნაც¹ და ტრაქტირიც².
და ვჭვრებ: მამადავითზე მოხუც,
“ელამ მიკიტანს”,
თავის უკვდამყოფელ დიდ –
მგოსნის საფლავს დასტირის.

1969

1, 2 – ტავერნა, ტრაქტირი – სამიკიტნო.



* * *

მთვარე სინათლის ჩუმი ბდავილიოთ,
გადმომდგარიყო წარსულიდან
ოქროს ვერძივით.
და რქებით ჩხვერდა დრო-ჟამს
ავბედიოს.
ათასწლეულთა ლეგენდებში –
კოლხეთს ეძინა
და... მე, პირველმა,
გადვიძება მისი გავბედე!

1960



ამირანის ისარი

ჩემი ძველი კოლხეთი –
შუმერ-ეტრუსკ-პელაზგთა
საცხოვრისი ის არი.
იქით მიდის ყველა გზა,
შუამდინარეთს უმიზნებს –
“ამირანს ისარი”*-ც.

1964

* “ამირანის ისარი”-ს ერთი წვერი პონტოა-სფერის ზღვა,
თავისი ახლო-მახლო შემოგარენით, მეორე კი კავკასიონის
მხარე – პირაქეთა და პირიქეთა მხარეებით”.



ტალღები

სმაურის გასაღებებით,
სიჩუმის კარებს აღებენ
იდუმალ,
როგორც თულები.
ზე ამოდიან ტალღები,
ხელი-ხელს
ჩაკიდულები.

1969



* * *

ისტორიის “მამებმა”,
რათუნდ ჭორში მოზელონ,
 ჟამთა ძელზე არბილონ,
მაინც გამოუჩნდება შერევნა და
 გოდოლი,
კოლხთა ქალაქ ბაბილონს.

1966



ზგირთვები

თვალზე ცრემლშეუშრობელნი,
ცად რომ ვედრებით ადიან
და ნისლი ფარავთ სნეული,
ის ბობოქარი ზვირთები –
ტყვე ქართველების დარდია,
სპარსთაგან გამოქცეული.

1961



* * *

ჩვენს წარსულიდან ჩამოქროლილი,
ცეცხლს კვლავ მიკიდებს
დარდის არავი*,
ფიქრთა კარავში როცა შეივლის,
შენ – მზით მოსილი...
და სხვა არავინ,
მიყვარხარ!
როგორც მაჯნუნს ლეილი.

1963

* არავი – სამხრეთის ქართული



მთვარე

დასავლეთით ღრუბელ-ღრუბელ
მიღის...

ღამეს მიაბოლებს
მთვარე, –
ჩემი პაპის – პაპა,
მსურს მის სიბრძნეს ვცე
თაყვანი.

და... ზღვა იწერს ცის ლურჯ ზღაპარს,
ვარსკვლავების ასოებით გამოყვანილს.

1994



* * *

თავს იწონებდნენ ნაძვის ხეები,

ზამთრის დადგმული თეთრი

სპეკტაკლით:

“დღეს ვართ და ხვალ აღარ ვიქნებით”.


იდგა სიმშვიდე და

სისპეტაკე,

მთელი ღამე ნათელს –

გალობდნენ ფიფქები.

1979



* * *

ორმოცი წელია ამ ცხოვრების
სივერაგეს რომ
ცას შეკივი
და საშველს არსაიდან ელოდები.
სასაფლაოზე ყრია ლოდები –
მშიერი სიკვდილის
საკენკივით.

1970



* * *

კოლხეთში უნასი ასისინდა:

- მედეა დვოისწინაშე

მართალია,

ბერძნებში სული პპოვა რაინდული.

მედეას გზა –

გაპარული ფასისიდან,

დალატის ეკლიობა გარინდული.

1964



* * *

საწუთოს ბევრი ედავა,
დააგადებული სხვა სენიორ,
ყოფნა მჭლე და
დუდრიგვალი*.

ზღვა –

კოლხთა ძგელი სეგდაა,
ხანდისხან თავს რომ გვახსენებს
ქარიშხლითა და
გრიგალიოთ.

1971



* * *

შუბლშეკრულ ამირანივით,
სადღაც,
შორს მიგეჩქარებათ
ღრუბლებო! –
სპანო ყამარის,
ალბათ დიდ ომში ებმებით.
ნეტავი იმათ სამარეს,
ვისაც თქვენ დაეცრემლებით.

1961

* დადრიგვალი (მეგრ.) – თავმსხვილი



თამარ მეური

“ბადდადს სარაჯა ავიღე”,
ათას ურჯულოთაგან –
სისხლისაგან დაწრეტილს,
მამულს ვედექ დარაჯად.
ვღვრიდი ცრემლებს და მირონს.
დროც,
ვიღებდი ხარაჯას,*
ბადდადსა და ბაბილონს.

1969



ოპერე ატლანტის

ქამი ათასწლეულებს –
ფარასავით მიღალავს,
კოლხურ სულს რომ ვატანდი.
არვინ იცის თუ რამდენ,
საიდუმლოს გვიმალავს
ოპერანე –
ატლანტის.

1980

* ხარაჯა – ხარგი.



ორი გაზა

არ არის საქართველოში
მიწის პატარა მტკაველიც,
რომ ადარ ეხარებინოთ
სიტყვა,
სიცოცხლის ნერგისებრ:
აღმოსავლეთით – ფშაველას,
დასავლეთით კი –
ეგრისელს.

2007



* * *

დღის ჯაფისგან გადადლილი
დამეს,

მთვარის ცოლი ათევს.
ზღვა დილამდე უმზერს ცაზ;

კიკლოპივით ცალთვალება
გოლიათებს
და შიშისმგვრელ ასხელიან ბუმბერაზებს.

1996



* * *

არ ჩანს დავით!

მაგრამ მცხეთას,
ისევ ადგას მზე დიდებად.
სვეტიცხოვლის მაღალ სვეტებს,
უფრო მაღლა ეზიდება
საუკუნე –
მეთერომეტე.

1981



ნეფჰუნსი

კოლხეთს ახსოვს და
არც ახსოვს,
წელია ათასჯერ ერგასი,
განზე რომ აცვიათ მთებს ბურუსი.
ქარით დაჭედილ ზვირთთა პეგასებს
მძვინვარ ზღვებში რომ დააგელვებს
ნეფტუნუსი*.

1971

* ნეფტუნუსი (ლატ.) – ზღვის ღმერთი.



* * *

ნათელს იღიმოდა სიგრცე
და მთებმა კი ფართო მხრები,
 მეხის ხმაზე ზე აწურეს.
ზღვა დასტირის ცით ჩამოსულ
დილის ცვარის
სიქალწულეს.

1971



* * *

ჩემს კოლხეთს ეალერსება
ფრთებმოქათქათე ნიავი, –
ეკის მთის,
ურთის და ფორთის.
ცა გულში იკრავს სიამით
ზღვას –
თოლიებით გაფორთლილს.

1971



ხეთა და მითანი

ქრისტე ღმერთი არ ჩანდა,
დრო იდგა წარმართული,
მაგრამ იყო ქართული
ის ზღვები და ის მთანი –
ორი დიდი სამეფოს:
ხეთას¹ და მითანის².

1966

1, 2 – ხეთას მეფე იყო – სეფელომა, მითანის – რატი, შემდეგ მისი ძე ქორთუ – ვაჟა (XIV ს. ჩვ. წ. აღ.)



ზღვა არის “ქართლის ცხოვრება”

ყოფნა,
არყოფნის მდინარე,
მიდის და მიიმდოვრება,
ლამაზი და ეშნიანი.

ზღვა არის “ქართლის ცხოვრება”
მუდამჟამს ქარიშხლიანი.

1960



* * *

სიმაღლეებს კვლავ ასწავლის
ქარი ღრუბლებს მთებზე მარებს.
ღამეს –
მეხით შუბლგაჩეხილს,
ცა – მოწყალე,
მედდასავით,
ელვით უხვევს ნაიარევს.

1986



* * *

კოლხეთის დიდ წარსულიდან –
წინაპართა დერიტა მოქრის
და სახლდება შენში ვაჟა.
არც მარგალიტს
და არც ოქროს,
შენ დაეძებ ზეცის ლაჟგარდის.

1969



ალექს

* * *

ქარიშხელის გტლებს დააქროლებს
პოსეიდონი,

ზღვა ემორჩილება გმირის ნებას,
თან ახლავს ამფიტრიტე¹ და

გალატე²,

პონტოს ნაპირზე რომ ჰყვავის
გვირილებად,

ქაფი კი არა,

ყვავილებია —

მედეას ღალატის.

1962

¹ ამფიტრიტე — პოსეიდონის ცოლი, (ზღვის ფერია).

² გალატე — ერთ-ერთი ნერვითაგანი, (ზღვის ფერია).

“ებრისი ელის ებრისელს”*

უამთა დინება მწუხერივით
აფენს და აფენს მთებს ნისლებს,
არ უჩანთ სახე –
მთებს ნისლიდან.
ებრისი ელის ვაჟა ებრისელს –
ქრისტეს მხედარს –
ბიბლიური ეგრისიდან.

2001



ჰოდანი: “გეთსიმანის ბაზარი”

ხელთუქმნელი ცეცხლით და

კოსმიური ნათებით

სუფეს და უცნაური

(თვალში წვეთავს მანია.*)

გჭვრები: მეექვსე აურას

“ბაღში გეთსიმანის”.

1982

* მანია (ბერძ.) ენება, სიგიჯე.



სახელები

მთიებივით მოკაშკაშე,
ამოდიან წარსულიდან სახეები:
(ვინც გაუძლო რა დროს
და ჟამს.)
ეგვიპტის დიდ ფარაონის –
ნეფერტიტის
და მითანის კოლხი მეფის
ქოროფუ – ვაჟას.


1974



မာရမိဝ

ဒုက္ခ လာမာနို ဂုဏ်ဖျော် –
မာရမိဝ,
သာမ် မျှောင်း၊
ထွေး လာ ကပ္ပလာဒ ဥဇ္ဈာရံး
လျှို့ဂျော် လာ မိန်ဒြော်
သာမ် ဖျော်ရှော် လာ.


1964



* * *

ვით პვიცი უდედო,
ზღვისკარად დგას
კოლხეთი
და ცა მიუსაფრობას ბარდნის,
როგორც ბარდნიდა,
გხედავ: პრეისტორიის
გადაწეულ ფარდიდან.

1971



* * *

“მენგურელთა¹” ქვეყანა,
მერე გვიან,
შუმერის,
ჩემზე ჩემად ჩერჩულებს:
“თიქი ხოლო თექ იდუ²”,
სადაც პედრის ჭალებში,
გილგამეშს ხმობს
ენქიდუ.

1963

¹ “მენგურელთა” – მეგრელთა.

² ისიც იქ წავიდა. (მეგრ.)



ზღვის ქალაქის პინადარი

მხრებზე ედგათ სამყარო,
თვალში ცა უბრწყინავდათ —
წყვდიადში მზე ჩასულებს,
ზღვის ქალაქის ბინადარო
წყალში დამხრჩვალთა
სულებს.

1977



၀ၯ ဇွန်

— ပျော်လာဖျော်ရှိ ဂာက်ရှေ့ပာ မာရမာန်လျော်
တော်ဒြော်ဝါဘ်,
— စောမိုင် ပျော်လှိုင် မာရမာန်,
ချံမာဖွေဗုံး၊
ခြောက်ပါး。
တာသုချိန် ပျော်လှိုင်၊ ဒုက္ခ ပျော်လှိုင်၊
“၀ၯ ဇွန်” —
ဂာလာပုံပြော်ဝါဘ်。

1959



* * *

ვით უხსოვარ დროში,
წინათ,
ისევ ისე აკრთობს მნახველს,
რომ მკვდრისფერი ბინდი ადევს,
ამომავალ მთვარის –
ლიმილიან სახეს,
და ჩამავალ მზის
სისხლიან სიდიადეს.

1973



დმიურთო, შეუძლე

მიცოცხლე იგი,
ჩემი ყოფნა ვისაც არ მოსწონს
ღმერთო,
შეუნდე!

ჩემს დამწველ კოცონს,
ვინც ცეცხლს შეუნთებს.

2003



გარსპოლაგების ტკარცალი

საწყალი სამოცი,
შხამით სავსე პირთამდე,
ვითარც ერთი დავცალე,
ალბათ მიტომ შემცივდა.
მაინც ვყივი: მაცალეთ! –
სანამ მესმის ზეციდან –
გარსპოლაგების ტკარცალი.

2007



პოეტოს სანაპიროზე

მტერს ოომ გული მოუკლას...

პონტოს სანაპიროზე

და ღვთაებრივ ეგრისში,

ვითარცა განთიადი,

ისევ მეგრის სვე ივლის...

ამაყი და დიადი —

გაჟა ეგრისელივით.

2001



წუთისოფელი

უსგამს არყოფნის შალაშინს,
ჩვენს ყოფნის დღეებს
ათხელებს,
მუდამ სიავის მყოფელი.
და თვით უფალი გვაფრთხილებს:
— ნუ გიყვართ წუთისოფელი.

1999



* * *

სიშორეს ეფარებიან

მთიები,

როგორც ალები.

აქეთ მთა...

იქით ისინი.

ცის უზღვრო იდუმალებას,

მთვარე გასცემის სფინქსივით.


1996



* * *

ეშმაკის გარდა იცის არავინ,
რას გვიპირებენ არამზადები,
რომ თხრიან მიწას
ცხრაფად,
ცხრაფენად.
შენ,
მართლა, ნუთუ არ ემზადები,
სხვა პლანეტაზე
გადასაფრენად?!

2006



* * *

ბობოქარი დღეები,
სადღაც,
მოუსავლეთში
გაფრინდნენ ქარბუქებად.
მაინც ციდან ოცნების –
შენი ბედის გარსკვლავის
ელი გამოშუქებას.

2007



* * *

დედამიწას კი ისევ აწებებს

მთვარის სიცივე და

გულგრილობა.

და სიმხურვალე მუდამ გოდებს მზის

ტალღებს ორბივით ცაში

აფრენილს.

შენ, დღე – ნიადაგ ზღვიდან მოგესმის –

ფსკერს მილექილი ხმა წინაპრების.

2002



პორსიგაში

(ძახილი)

საუკუნეთა უდაბნოს –

ბრძოლებით გამოვაღწიე,

ათას სიავით "მორთულმა".

საქორთუო¹ კორსიკაც,

ნაპოლეონი ქორთუა.²

1983

¹ – საქორთუო (მეგრ.) – საქართველო

² – ქორთუ (მეგრ.) – ქართველი



ზღვა – არფაა ეოლოსის

მეხის მოულოდნელ სმაზე,

შემოდგომის მწუხერით მოსილ –

ცა გარსკვლავებს გადიწვიმებს

ზღვა –

არფაა ეოლოსის,*

ქარი უკრავს ცადაჭიმულ

ზვირთთა სიმებს.

1993


* ეოლოსი (ბერძ.) – ელინისა და ფერია ორსეიდეს ვაჟი. ქარების ღმერთი



* * *

მოკვდავთ სული მდინარეა,
ელგის სრუტით —
ცას რომ ერთვის.
ღამით ქართა ელვარება...
და გულისთქმა მწვერვალების...
ზღვათა დუმილია —
ღმერთი.

1973



ჩემო დიდო ჭინაპარო

უკვდავების მაღალ კედელს,
მოსვლის დღიდან მიყრდნობილო,
ციურ ცეცხლთან წილნაყარო,
ჩემო დიდო წინაპარო,
მიწით არა,
მზით შობილო!

1989



* * *

დღეები მჩხვლეტენ, როგორც ეპლები,
რა გქნა,
არც ერთმა არ ივარდა
და არსაიდან არ ჩანს საშველი.
მაინც სიცოცხლის ტოტზე
გზიგარ და
თვალდახუჭული გგალობ შაშვივით.

2007



* * *

ქარი, ცეცხლი და წყალი,
მზის გზას ადევნებია,
სამია და ერთდება.

ეს ზვირთები კი არა,
ფიქრთა შადრევნებია,
სურთ, რომ ცად აიტანონ
ზღვის გულისთქმა
ღმერთებთან.

1986




13

დიდი არა,
 გარ ცამეტის,
 და არაფერს არ ვამეტებ,
 ვამბობ: დარდი მაწევს მთებად –
 ფიქრით,
 დამე თეთრად ნათევს,
 ხობის პირას მელანდება:
 მტრის მოკლული გუბაზ მეფე*
 და მტირალი მეფე წათე.

1954

* კოლხეთის მეფე – (V ს.)



* * *

დღემ მზე დაბადა,
დვთისმშობელმა, ვითა იქცო
(და ბნელ დამეზე ჯავრი იყარა),
მერე მწუხრამდე მხრებით ატარა,
ხოლო მწუხრისას ჩამოსვა და...
თან წაიყვანა.

1966



* * *

ქარის ძახილზე ზღვის სავენახე,
დაიხუნდლება ზვირთა მტევნებით.
სანაპიროზე როცა დაღლილი
ჩაიგლი,
ერთი ტალღა ძაღლივით,
ქაფის წერტუნით აგედეგნება.

1969



ხელი

ზამთრისგან გაძარცვული
ცას შესცექერენ შეშფოთებით,
სიქა აღარ შერჩენიათ.
და ვითარც ჩვენ,
ეს ფოთლებიც,
აქ არყოფნას ეჩვევიან.

2001



* * *

ამოვარდა ქარიშხალი –
ცის და მიწის დამლეწავი
და გაწყვიტა ჯაჭვი ქაფის.
ნარბენალი ზღვა მოადგა დამფრთხალ
ნაპირს,
ჩაიმუხლა მერე წამით.

2002



* * *

ჩემი ზეცა ქართული –
ვარსკვლავებით ირწყვება.
უფალია თავმდები,
რომ ლეგენდით ვიწყები
და ლეგენდით
ვთავდები.

2007



* * *

ზღვის წერილში და ქართა მოთქმაში,
კვლავ იქედნური გეხმის
სიცილი,
მათი, რომელთაც შვენით "პარიკი".
შენ ქართულ სიტყვას ხედნი
პპიცივით,
პონტოს ნაპირზე იურვებ და
ათოხარიკებ.

1963



* * *

ქარიშხალმა ღრუბლების რემა
უცებ მოდენა,
ელვის მტყორცნელი მშვილდით,
ზეცა პგავდა მოისარს.
სადდაც პორიზონტს იქით –
გზის გოდება მოისმა,
ზღვის ხემ მოულოდნელად
თოლიები მოისხა.

1976



* * *

ვარსკვლავებით ნაქსოვი

ცა —

სიცოცხლის ბადეა.

ცვდება დღის კიბეები —

მზის ჩასვლით და ამოსვლით

დამის სიწყვდიადეა —

მოკვდავთ წმიდა სამოსი.

1987



* * *

ვითარცა ზღვაში დაღუპულთა
სპეციალისტი –
დამემ მთოვარის შუქჩე გაფინა –
მოწყენილი და
ფერმკრთალი ნიხლი.
ზღვას კი სივრცეში –
ფასძუნჯივით უნდა გაფრენა,
და ფრთებს ისწორებს...
უსაზღვროა სურვილი მიხი.

1965



მნათობები

ათავთავებულ სიგცრის სიბნელით
სავსე აქვთ მზერა
და ნებტოები,
საკუთარ ცეცხლით
შიშის პერანგს
ისევ იშრობენ.
განთიადისას სიმყუდროვის
ბუდეს ტოვებენ
და მთვარის ჯამში აბერტყავენ
მიწის სიშორეს.

1986



* * *

სიკვდილ-სიცოცხლის

მიწურივ მფლობელმა,

მსრბოლავ ქამს აგხსენ რიდე,

ავშარა

და უღმერთობას ზეცას შევკივი.

თვალცრემლიანი მივუყვები მტგრიან

გზა-შარას,

ამ წელისოფლის

ცოდვა-მადლით –

ქედდადრეკილი.

1974



ნარიყალასთან

კორწანისის ველზე –
 თავდახრილი დგას დამარცხება,
 მტკვრის ტალღებში კი,
 არაგველთა
 ისმის ყიუინა...
 ნარიყალასთან,
 ველური ხმით,
 მწყემსმა –
 თათარმა,
 ქართლის წარსული,
 აგერ,
 ახლა კვლავ შემიშინა.

1978



სიპრე

ფიქრის და დაფნის

გვირგვინს ვუწივდი,

ოცნების კიბით ცამდი ამყავდა

და სიყვარული,

როს უღირსმა

ვერ შევიფერე,

მაშინ კი გულში

აპრილივით

დარდი აყვავდა

და გამოჟონა თმებში სიბერემ.

1979



გადაფრთხია

სამხრეთისკენ მიაქვთ ზაფხული,
უხშობთ სიშორე,
გადარჩენის მიაქვთ ოცნება
(აღარ ქვითინებს ყანა მწყერივით).
ფრთებზე იხვევენ თოკებივით მანძილს
ფრთოსნები,
დაცლილ ბუდეებს ჩამოჰყურებს ცა –
მოწყენილი.

1982



* * *

მშობლიური ცის უმაღლესი
მახურავს ჭერი,
ისევ შევყურებ დელვას ბავშვივით
და ჩახვეული ზღვას – აგვისტო
ისევ ვიხილე.
მზე დასავლეთით გარბის
წითელ ფაფარაშლილი
და სიშორეს და...
სიცხეს ჭიხვინებს.

1968



გურიაში

შვილწართმეულის დედების მოთქმა
ისევ ჩაესმის
ანაკლიას
მწველ წარსულიდან...
ხოლო, შორს სადღაც –
კრიმანჭული
ისმის გურული –
მთაში ამავალ ბილიკით –
მიხრილ-მოხრილი,
დელის პირას კი ვევბა კუ –
ტყით დაბურული,
სჩანს მიტოვებულ გლეხის ქოხივით.

1964



ქართლის წარსული

უამმა ვერაფრით ვეღარ დანისლა
ქართულ მიწაზე ყოფნა, არყოფნით,
ჩემი დიდგორი,

ჩემი კრწანისი,
საარაგვო და ველი მარტყოფის.
შუბლშეჭმუხვნილი.

მტკვარზე კვლავ ტივით,
ქართლის წარსული დაიარება.
კი, დრო მკურნალობს,
მაგრამ მაინც
ვერ ირჩენს ტკივილს
და სტკივა ძველი ნაიარევი.

1984



* * *

წლებმა უდაბურ გზებზე ჭენებით, –
ჩემი სიცოცხლის
დახრეს აღვირი,
მაინც არ წყდება ულმობელი
ბედის ყველება...
ჟამს მიმწუხრისას
ბრძოლით დაფლილი,
ზღვის სიმარტოვეს მივეკვდლები.

1985



შენი სიშორე

სილურჯე წვეთაგს –
ია-იების,
და გაზაფხული
იღიმება სველ მიმოზიდან;
სოკოები კი,
მოკლე კაბებს მზეზე იშრობენ...
დავიწყებიდან მწუხრმა –
ქარის კალთით მოზიდა,
შენი წყურვილი, შენი დარდი,
შენი სიშორე.

1976



ვიქრიანი ლამა

სიმაღლისა და სივრცის მპყრობელი

მთვარე გადმოდგა ცის გუმბათიდან

და დედამიწა, როგორც ფიალა

შუქთა შარბათით

ისევ ააგხო...


მერე, ვით დევმა, მომიქნია დამემ ტიალმა.

მომიქნია და...

ფიქრებში კვლავ ჩამფლო

ყელამდი.

1987



პარათაშვილი

მწუხარისფერ ლოცვად ენთო სანთური,
გოდებდა სული –

უვალ გზებზე მოხეტიალე,
რადგან საწუთოომ

ყორნისფერი, ცა დააძალა,

რადგან ცისფერი,

მიმწუხარისას ვერ გაიხსენა,

უკვდავებაში მიმავალმა,

პვლავ ილოცა –

"ვპოვე ტაძარი",

მერე დაღლილმა მთაწმინდაზე

ჩამოისვენა.

1989



* * *

სამშობლოს მტერი ბნელში შეგლისე!
ვაჟა ეგრისელ!

1990



ზამთრის ღამე

თუმცა ყოველდღე ერთურთს
ვშორდებით,

ვითარცა დღე და

მზე —

საღამოსი,

ჩემს სიყვარულში წე დაეჭვდები.

ახლა,

მიწა კი კოპტიაობს

თეთრი სამოსით

და თავს იწონებს ვარსკვლავების

ოქროს ბეჭდებით.

1979



ნახეთ შავი ზღვა

სადაც ღრუბლების სევდა იქცევა,

იქ ზღვამ დამბადა

თავის ქაფიდან.

ზეირთად მიმოდის –

დაღუპულთა სულების რიგი.

სიკვდილის შემდეგ

სად ვიქნები?

კვლავ ზღვად ვიქცევი,

ნახეთ შავი ზღვა,

და მე ვარ იგი.

1967



ბროჭეულის ხე

კისრისტებით,

კვლავ გარბიან

წლები

და მოხუც პაპას ვით არ უკვირდეს,

რომ გზისპირ დამდგარ ახალგაზრდა

ბროჭეულის

ხეს

თვისი ნაყოფი ჩიბუხივით უჭირავს ხელში

და ცეცხლს

უკიდებს.

1968



მხოლოდ სამშობლო

მხოლოდ სამშობლო...

რწმენა ქართველის

ვეღარ იქნა და

ვეღარ გაპვეთეს,

თუმც მახვილს სცემდნენ...

და კაცის ძემ არ შეიცოდა.

სიკვდილ-სიცოცხლის წიგნს სწავლობდა,

როგორც გაპვეთილს,

ავიწყდებოდა ზოგჯერ სიცოცხლე,

ხოლო სიკვდილი –

კარგად იცოდა.

1989



შაშაჩოვები

ყაყაჩოები –
ჰეგვანან ნაკვერჩხლებს,
შოორ წარსულში,
ამირანმა ღმერთს რომ მოსტაცა.

1969



ပါရတ္ထဝ

မိုးဝါ ဖွေအလှုံ ဂာမ်္မာန္ဒလှုံ

ပုံး -

ရောဂါရာ သို့ရှုံး

ဒါ ဒေါရာ ပျောမီ၊

ဒေါရာ ဇူးလျှောမီ၊

ဒေါရာ သွောက်နာမီ၊

ဒေါရာ စံဒေါရာ ဝါရှုံး

ဒေါရာ စံနာ၊

ဒေါရာ ဂာနျောက်နာ.

1966



ჯამე სვანეთში

ო, ქს მოვარე დარდიანი,
აი,
ახლა,
რომ თქვას კაცმა,
ფიქრთა ღრუბლით,
კი პგავს მგოსანს,
ის მახვშივით ზის
და მარცვლავს –
გარსკვლავების კრიალოსანს.

1977



ბაზარზელის თოვლი

ქათქათა ფიფქის ასოებით წერს
გვლავ პოემებს:

აი,

ეს მთები გრაგნილებია,
გელ-მინდვრები კი — დაუწერი
თეორი ფურცლები.
ის კი მთელი დღე პურდღელივით
მთა-ბარს
მოირჩენს,
მზის ძახილზე კი
ღობე-ღობე გაიცურცლება.

1986



ცაში მეგზლვი

ქართული ციდან
წვეთავს მირონი
და ვარსკვლავების ნაკვერჩხალზე
დამე შიშხინებს,
შორეულ ალით –
მშობლიური
ბრწყინავს ხედები.
ცაში მეგზლვი,
მიტომაა ასე ხშირ-ხშირად,
მშობელო,
მაღლა რომ ვიხედები.

1989



საშპონო სასუფებელი

თვით უკვდავება,
სიტყვის გარდა არაფერშია,
 მადლობა უფალს!
რაღან მოხვედი,
 სიხარულის და იდუმალი
ცეცხლის მფრქვეველი.
 მე აღარ მინდა ეს სამოთხე,
არც ჯოჯოხეთი,
 მსურს ლექსში ვპოვო
საუკუნო სასუფებელი.

1987



გალობ და გალობ

ვით მაფშალია, გალობ
და გალობ
და შენს გალობას –
აღსავსეს რწმენით,
ამ ტიალ ცისქვეშ არავინ უსმენს.
ის კი არადა,
ჯვარს რომ გაცვან,
ვითომცდა წყენით,
წამსვე მოარბენინებენ –
ლურსმნებს.

1987



დოლი ჭიბნი

იმედის ქვით... და
უზარმაზარ რწმენის
ლოდებით,
ვითარცა მცხეთა, მეც ამიგია
ჩემი სამშობლოს
მომავალი,
აწმყო,
წარსული.
ჩემი სიცოცხლე –
დიდი წიგნია –
დღისა და დამის ყდაში ჩასმული.

1988




0183 ღინაპრები

ვერ შეაჩერეს ჟამთა დინება,
თუმცა ფარ-შუბი
დიდხანს აელვეს...

მერე დადლილნი მიეყარნენ მოსახვენებლად.
ჟამი კი,
გამი ისეგ მიდის და მინანაობს...
და... მათი სულის მოსახსენებლად
ცა,
ავლავ უთვალავ სანთელს ანთებს –
ყოველ საღამოს.

1979



შემოდგომის ჟურნალის ტყე

ტყე უსიერი...

შემოდგომის სხივი

ცახცახა,

ისევ სიყვითლით დაავადებულ

ფოთლებში ჩასახლდა.

სადღაც ხმა ისმის...

ღრენა... კაკანი...

მაგრამ იდუმალ შიშით მოსილი,

არც ნადირი ჩანს,

არც ფრინველი,

არც კაცთაგანი.

1978



ქრისტეა თუ გუდა

მიგსდევთ ქამთა სრბოლას,
ვითარც დედას კვიცი
და მაინც არ ვიციოთ,
ლოცვით საგსე
ცისპენ,
როს გვახედებს მუდამ,
კაცია თუ ღმერთი,
ქრისტეა თუ ბუდა.

1972



შაშვები

სიმღერით საგსე აქვთ ჩიჩახვი,
ყურს აღარ უგდებენ
ბაღში რომ რტო ტირის,
განთ მოსავთ მარადი დამე და
სიბნელე.
მზის ტოტზე შემსხდარნი
ათასგვარ მოტივით –
გალობენ
სიციცხლეს.

1984



* * *

მრისხანებს ზეცა...

აიწყვიტა ქარმა

აღვირი

და მაცნეებად გულამდვრეულ

ზვირთებს არიგებს.

ძრწის და ირყევა მთელი პლანეტა.

მივყვები ღელვას...

მადლი უფალს

და არსოგამრიგეს –

მარგუნეს ბედი მოგზაურთა

და მენავეთა.

1968



მგზავრობა ჭარსულში

ისმის ყაფანი...

ნინველ ქალწულებს –

მსხვერპლად სწირავენ უგუნურ ღმერთებს.
ვარდი ყვავილობს იერიქონს,

და მზე – ქანაანს.

მივალ წარსულში...

არ შობილა ჯერ ქრისტე

ბეთლეჟს,

მაინც რა კარგი,

რა ლამაზი,

რა ქვეყანაა.

1968



პატალევში

ცა ძირს ეშმაკის ფეხად ჩამოდის,
ბაირამობენ აგსულები
და ალქაჯები.

საცეცხლურივით,
ღამე ელვას
იქნევს და
იქნევს...

მდინარეებს კი შეუყვიათ მთების ლაჯებში
თავი,
და წოვენ ვეება ჯიქნებს.

1973



* * *

რიდე – მანდილით,
ვითარც მოსე,
გარ შეტურვილი,
წუხილს წუხილი კვლავ ემატება.
ჩაქრა იმედის სხივი –
კიანთა,
მაგრამ მწუხრისას,
ღვთაებრივი
შენი ხატება,
ჩემს საუფლოში შემომზიანდა.

1987



სამეგრელოში

დედიშობილა,
ტიტელ-შიშველი,
სადღაც გარბიან,
სადღაც მიღიან,
დამფრთხალი გზები –
ნაგვაზაოს
და ლესიჭინის.
მზე გარდახდა და
უკვე ბინდია,
გულზე მალამოდ მეფინება
მწერის ჭრიჭინი.

1963



სასაფლაოზე

დასეტყვილ-დამეხილები,
ისევ დასეტყვა
დამეხა
ლოდები სასაფლაოსი.
სუფევს ქარი და
ქაოსი
და ძირს ჩამოდის
ცა ვეხად.

1978



სიყვარულო

მამულზე ფიქრით დამწვარი გული,
თუ არა შენ ერთს,
სხვას ვისლა მივცე.
თუმცა დღეები უქრობ ცეცხლად
ისევ მებურვის.
მოდიხარ, სიყვარულო,
მოარღვევ
სივრცეს,
წეხილის რაშე ამხედრებული.

1984



მომავალი მახურავს საბაძ

ტკიოდა...

ტკიოდა სამშობლო,

ეძებდა წამალს...

და იარა –

შორ გზებზე, კიდითი კიდე,

საწყალმა,

მოხუცმა საბამ.

მეც მტკივა...

სასოუმლად –

წარსული მიღევს,

მომავალი მახურავს საბნად.

1986



მე დავივიწყე ქვეყნად ყოველი

მორჩა,

გათავდა,

არრას მოველი,

კითხვის,

ო,

კითხვის ნიშანივით

ჩაფიქრებული —

შემოვრჩი, კარგო,

ჩემს დღეთა ბოლოს.

მე დავივიწყე ქვეყნად ყოველი,

რომ მხსომებოდი —

შენ ერთი მხოლოდ.

1986



პოლსი

განთიადამდე ისევ წკავწკავებს
გარსკვლავებს ღამე –
შავი ნაგაზი.
და პონტოს პირას, კოლხურ ცისქვეშ,
უტეხი –
კოლხი,
მზით დაბმული ვარ
ეამის ბაგაზე
და ჩემს უგემურ დღეებს კვლავ ვცოხნი.

1968



ზაფხულის ღამე

მთვარე გარსკვლავების
ნამსხვრევებზე
გარბის ფეხშიშველა ბიჭივით.
ვეძახი,
არ ესმის,
ყრუ არი.
დამეში თავს იკლავს –
ჭრიჭინი,
ხეებზე –
თავს იხრჩობს კრუალი.

1974



ზღვა

ცოტა ხნის წინათ
წარიტაცა
ნორჩი სიცოცხლე,
და, აი,
ახლა
სანაპიროს ისე
ჩაუგლის,
თითქოს არასდროს
ამ ქვეყანაზე
არ ჩაედინოს დანაშაული.

1976



მოგონება

თქვენ ხსოვნად სდის ხობისწყალი,
უთქვენობა გულს კვლავ სჭვალავს.
და ვარსკვლავი –
ორბის თვალი
კენტად დამზერს პარას ჭალას.
ძეძვი სჭამს თქვენს კარ-მიდამოს,
ჯებე,
ძაკა,
და ივანევ!
თქვენ არ მოკვდით...
სამუდამოდ
ჩემს წიგნებში დაივანეთ.

1985



შეცარი ზამთარი

ნორჩი ხეები —

უცებ დაბერდნენ,

წყაროც სულს დაფავს,

ყვირის: მიშველე!

ცასა და მიწას ადევს თოვლის
თეთრი ურდული.

კანკალებს ბაღი ტიტველ-

შიშველი.

ბებერი ზამთრის გაძარცვული

და გაქურდული.

1972



ქამთა ქარები

სევდანარევი,
აღარ მესმის შენი
სიცილი.

დედა! –
რამდენი წელი გავიდა –

მზის თაიგულით
და სიცოცხლით დამშვენებული...
მშობელს მოწყვეტილ,
მგლების დამფრთხალ

ქვიშორ კვიცივით
წინ გამიგდეს და მიმარბენენ
ქამთა ქარები...

და მეც მივრბივარ...
შენ იქ მეგულვი
და შენი ნახვა მიმეჩქარება.

1985

ოყაზუ

აი, ის ადგილი – სადაც ვიჭერდი
შავშავ ღორჯოებს და ჩურპატანებს.
იმ მდორე ღელის მდვრიე დინებას,
თურმე სიყრმე და
სიხარული
თან გავატანე.

1959



ვრთხილად

სიკვდილის მღვიმეს
ნუ მიელტვი,
ნურც მის სიშავეს,
სანამ შენი ცის ჭერზე დაბიდულ
მზის დიდ ნათურას გამოთიშავენ.
მმაო! –
ბუნების დიდო გვირგვინო,
ფრთხილად,
გენუკვი,
ის არ გახლავს
წიფის გვირაბი,
რომ შეხვიდე და...
ისევ მზეზე გამოირბინო.

1978

პირველი თოვლი

თებერვლის მაღალ კარიბჭესთან
აჩქამდა დილა
და სხივებისგან გაბზარული ცა არის –
ბროლი.

პატარა გოგოს წყალი მიაქვს
მეგრული ინჭის...
და პირველყოფილ სისპეტაკედ
ჩამოდის თოვლი,
ვითარც ბუნების
ზეგარდმო ნიჭი.

1962



ხორბა

დამბას კი არა,
სიყმაწვილის
ზღვარს გადავედი.
პარას ჭალაში ძეწნებმა კვლავ
მხრები აწურეს,
როს აქ დარჩენილ ბავშვობას ვუხმე.
ხობის წყალი კი
ტანს მიარწევს,
ვითარც ქალწული
და კრძალვით აჩენს
ტალღების თეთრ
და მაღალ მუხლებს.


1962



არაგვზე

გაქაჩული ჰყავთ კლდეებს
არაგვი,
იბდავლებს,
დახედავს
რაწამს მზე,
შავწვერა ღრუბლები ისევ იქ მიდიან,
სადაც გასაშრობად
ბილიგის ბაწარზე
ქათქათა ფერდობი ჰკიდია.

1987



პიმერიალები

ქართული ცა და მთა გადმოლახე

ადრე სკვითებზე

და კეისრებზე...

დაჰკრეს! –

ვერ მოჭრეს მყისვე,

ვითარც ტოტი –

იელთა,

თუმც საქართველოს ხელუხლებელ –

ბროლის კისერზე,

დიდხანს ელავდნენ ბასრი ხმლები –

კიმერიელთა.

1984



შემოღვრმის დღე

თმაგაკრეჭილ ყანებს ქუდად
თავს ახურავს
ჩალის ზვინებს
და მეხს უდებს ცას
ნალმივით.
მზე რომ ჩავა,
დღე დაღლილი,
ნაბადივით გაშლის დამეს
და დილამდე
დაიძინებს.

1974



ALISTARU

უფასურია სიცოცხლე ზოგჯერ

ერთხელ კი არა,

ჩვენ გვინდა ორჯერ

ყოფნა –

ქვეყნად და მივტირით.

უფასურია სიცოცხლე ზოგჯერ

და,

მით უმეტეს, სიკვდილი.

კვერს დაგიკრავენ მაღალი მთები,

პკითხეთ მტკვარსა და

ფაზისს,

– სამშობლოსათვის როდესაც კვდები,

სიკვდილს მაშინ აქვს

ფასი.

1969



დედამიწა მე გარ

დღისა და დამის ყავარჯინიანი –
დედამიწა ვარ მე
და მივხდევ მნათობს.
ჩემი სიყვარულია –
გზე,
ასე რომ გათბობთ.

1986



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ.....	5
* * * ცაცხევბის ჩრდილში მიმწუხრისას....	25
* * * მოგვდევს და მოგვდევს.....	26
პატარა ქუჩა.....	27
ჟამს გათენების.....	28
ტყის იდილია.....	29
* * * წახველ.....	30
* * * ხელპურობილი მზე და ლოცვები	31
* * * მომეჩვენება.....	32
დიოსკურია	33
შპლაშება	34
ცისკრად მოფრენა.....	35
აია.....	36
შენი სახელი	37
სიტყვა.....	38
ისევ ლოდინი.....	39
* * * სადღაც დასალიერთან	40
სიშორე და სიმარტოვე.....	41
ზღვა, მაინც ზღვაა.....	42
ლოდები.....	43
* * * სიჩუმის ბილიკებით	44

სანაპირო, ზღვა, გრიგალი	45
ყაზალები	46
* * * ქარიშხალი შლეგ ზვირთებს	47
* * * ბედისწერამ ქართვლის ცის ქვეშ	48
დრო	49
* * * მტერთა ჩემთა სიმრავლეს	50
ფიალა, ჭინჭილა, ყარყარა	51
აქ დევები მეფობდნენ	52
* * * ვისმენ ჩურჩულს ანგელოზთა	53
* * * უქაროდ და უქარიშხლოდ	54
* * * ცით ჩამოდის მიმწუხრი და	55
* * * მოსვლის დღიდან ამქვეყნად	56
* * * ოოგორც ადრე	57
* * * ცხოვრება ხეა	58
* * * ცად ღრუბლები მიმოდიან	59
კოლხური თასი	60
ტუტანხამონი	61
* * * ღრუბლებმა რომ ჩამოიხრჩონ	62
ქორთუ ვაჟა	63
* * * ანგელოზების გზას არა	64
* * * ქარის ხმაზე	65
ეაჲ!	66
სიცოცხლე, ცხოვრება, სიკვდილი	67

ვაზი.....	68
* * * როცა ჩაიგლის პოსეიდონი	69
თარი თარალი.....	70
* * * აღარსად ჩანს სიზიფე!.....	71
აპენინს და პირინეის.....	72
* * * ამბიონზე შემომდგარი	73
* * * მოასეენებდი მითანიდან.....	74
არგონავტები	75
მეტყვევე.....	76
იალუს მინდვრები.....	77
* * * წინაპართა სულები.....	78
ნორჩო ვაზო, მტევან დიდო	79
გმირმა იგმირე.....	80
* * * რწმენა ღვთის ერთადერთობის	81
* * * სადღაც დასავლით	82
ოკეანე და ცუნამია.....	83
ისევ ისე სძინავს ურჩხულს	84
* * * საუკუნეს დღეები	85
გრაალის ბარძიმი	86
საქართველოს ისტორია	87
სოფოკლე, პინდარე, პესიოდე	88
სამოთხეთა სამოთხე	89
ზევსის ლეგა არწივი	90

ღმერთს მაინც გავეძრახები	91
მითრიდატე ევპატორი	92
* * * სადაც ყოფნა	93
წიგნი – "ნათელხილვა"	94
* * * ცას მოსკვდა და,.....	95
ისევ მოლოდინი.....	96
აია – ღმერთი... და ქეყანა.....	97
* * * ცის შიშუპარულ სიმყუდროვიდან.	98
* * * ჩემს დიდ კოლხეთს დასდგომია.....	99
იშთარი და იშხარა.....	100
* * * ზამთარი, როგორც ბერდედა.....	101
წალენჯიხა	102
* * * ოცდაცამეტი წელია	103
აინანას, დაინანას	104
* * * ცაა – უდაბნო.....	105
ჭყონდიდსა და ღვინის ხეს	106
ღმერთი შეგვახვედრებს ერთმანეთს	107
კოპალეს და აგუნას	108
უყვაიჭარე	109
ძე – შეცდენილი უნასის	110
* * * აქ სიყვარულს იცინიან	111
* * * შურიოთ გასენილ კაცობრიობას.....	112
* * * ისმის სიმყუდროვიდან.....	113

ცისკენ ღრუბლებს გაყვები	114
თობელ-ტუბელ-ტიბარნი	115
* * * სადღაც დამის მინდორზე,.....	116
ეტრუსკებს, ბასკებს და პელაზგებს	117
აგვისტო, მზე და ნიავი.....	118
ავგეას თავლა	119
* * * სიჩუმის მიღმა	120
ალბათ, არგონავტებია	121
* * * უძველესი კოლხეთი.....	122
* * * ამ წუთისოფლის აურზაურში.....	123
* * * ჩემი ძველი კოლხეთი	124
პელაზგოსი	125
ზღვამ გააწნა ნაპირს სილა.....	126
დევკალიონის წარღვნა	127
* * * ეს საწყალი პოეტი	128
* * * წარსულიდან გადმოაქვს	129
* * * მთვარე სინათლის ჩუმი ბდავილით	130
ამირანის ისარი	131
ტალღები	132
* * * ისტორიის “მამებმა”	133
ზეირთები	134
* * * ჩვენს წარსულიდან ჩამოქროლილი	135
მთვარე.....	136

* * *	თავს იწონებდნენ ნაძვის ხეები.....	137
* * *	ორმოცი წელია ამ ცხოვრების.....	138
* * *	კოლხეთში უნასი ასისინდა	139
* * *	საწუთოს ბევრი ედავა	140
* * *	შუბლშეკრულ ამირანივით	141
თამარ	მეფე	142
ოკეანე	ატლანტის	143
ორი	ვაჟა.....	144
* * *	დღის ჯაფისგან გადადლილი.....	145
* * *	არ ჩანს დავით!	146
ნეფტუნუსი	147
* * *	ნათელს იღიმოდა სივრცე.....	148
* * *	ჩემს კოლხეთს ეალერსება.....	149
ხეთა	და მითანი	150
ზღვა	არის “ქართლის ცხოვრება”	151
* * *	სიმაღლეებს კვლავ ასწავლის	152
* * *	კოლხეთის დიდ წარსულიდან	153
* * *	ქარიშხლის ეტლებს დააქროლებს ..	154
“ეგრისი ელის ეგრისელს”	155	
პოფმანი:	“გეთსიმანის ბაღში”	156
სახელები.....	157	
მარტი	158	
* * *	ვოთ პვიცი უდედო,	159

გოლგური ზსალმუნები

* * *	“შენგურელთა ¹ ” ქვეყანა.....	160
ზღვის ქალაქის ბინადართ	161	
ის დღე	162	
* * *	ვით უხსოვარ დროში.....	163
ღმერთო, შეუნდე.....	164	
გარსკვლავების ტკარცალი.....	165	
პონტის სანაპიროზე.....	166	
წუთისოფელი.....	167	
* * *	სიშორეს ეფარებიან	168
* * *	ეშმაკის გარდა იცის არავინ	169
* * *	ბობოქარი დღეები,.....	170
* * *	დედამიწას კი ისევ აწუხებს	171
კორსიკაში.....	172	
ზღვა – არფაა ეოლოსის.....	173	
* * *	მოკვდავთ სული მდინარეა	174
ჩემო დიდო წინაპარო	175	
* * *	დღეები მჩხვლეტენ, როგორც ეპლები	176
* * *	ქარი, ცეცხლი და წყალი	177
13	178	
* * *	დღემ მზე დაბადა.....	179
* * *	ქარის ძახილზე ზღვის სავენახე.....	180
ხეები	181	
* * *	ამოვარდა ქარიშხალი	182

* * *	ჩემი ზეცა ქართული.....	183
* * *	ზღვის წუხილში და ქართა მოთქმაში	184
* * *	ქარიშხალმა ღრუბლების რემა.....	185
* * *	ვარსკვლავებით ნაქსოვი	186
* * *	ვითარცა ზღვაში დაღუპულთა.....	187
	მნათობები	188
* * *	სიკვდილ-სიცოცხლის	189
	ნარიყალასთან	190
	სიბერე	191
	გადაფრენა	192
* * *	მშობლიური ცის უმაღლესი.....	193
	გურიაში	194
	ქართლის წარსული	195
* * *	წლებმა უდაბურ გზებზე ჭენებით ..	196
	შენი სიშორე	197
	ფიქრიანი დამე.....	198
	ბარათაშვილი	199
* * *	სამშობლოს მტერი ბნელში შეგლისე!	200
	ზამთრის დამე.....	201
	ნახეთ შავი ზღვა	202
	ბროწეულის ხე.....	203

გოლგოთი ზსალმუნები

მხოლოდ სამშობლო.....	204
ყაყაჩოები	205
ქართლი	206
ღამე სვანეთში.....	207
გაზაფხულის თოვლი.....	208
ცაში მეგულვი	209
საუკუნო სასუფეელი.....	210
გალობ და გალობ.....	211
დიდი წიგნი	212
ისევ წინაპრები.....	213
შემოღომის ტექ.....	214
ქრისტეა თუ ბუდა	215
შაშვები.....	216
* * * მრისხანებს ზეცა.....	217
მგზავრობა წარსულში	218
კაწალხევში.....	219
* * * რიდე – მანდილით	220
სამეგრელოში	221
სასაფლაოზე	222
სიყვარულო	223
მომავალი მახურავს საბნად	224
მე დავივიწყე ქვეყნად ყოველი.....	225
კოლხი	226

ზაფხულის ღამე.....	227
ზღვა.....	228
მოგონება.....	229
უეცარი ზამთარი.....	230
უამთა ქარები	231
წყაბუ.....	232
ფრთხილად	233
პირველი თოვლი.....	234
ხორგა	235
არაგვზე.....	236
კიმერიელები	237
შემოდგომის დღე	238
უფასურია სიცოცხლე ზოგჯერ.....	239
დედამიწა მე ვარ	240

ვაჟა ებრისელი

გოლჩური ფსალმუნები

100 ტომაზ
ტომი 64

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 64

- | | |
|---------------------|-----------------------------|
| გამომცემლობის | |
| რედაქტორი | — ალექსო დოლგაია |
| მხატვარი | — სპარსაძე ციცაძემ |
| მხატვრული რედაქტორი | — ირაკლი უშვერიძე |
| ტექნიკური რედაქტორი | — ნანა დუმბაძე |
| კორექტორი | — ნაირა ბერაია |
| კომპიუტერული | |
| უზრუნველყოფა | — ნანა და დათო ყადეაშვილეათ |
| გამომცემელი | — ზურაბ დოლგაია |

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „კონვენსაცია“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com